ფლორიან ზელერი

სიმშვიდის საათი

(შექმნილია სიმონ გრეის ორიგინალი იდეის ბაზაზე - “Otherwise Engaged”)

მთარგმნელი: ნანა სამჭკუაშვილი ©

ფლორიან ზელერი

სიმშვიდის საათი

ჯაზზე უზომოდ შეყვარებული მიშელი ერთ დღეს ძველმანების ბაზრობაზე ძნელად საშოვნელ დისკს გადააწყდება, რომელზეც ბოლო ოცდაათი წელია, ოცნებობს. შინ დაბრუნებისთანავე, მისაღებ ოთახში განმარტოებული, სანატრელი მუსიკის მოსასმენად ემზადება. თუმცა თითქოს ყველა და ყველაფერი მის წინააღმდეგ მოქმედებს - ცოლს მორალური ტანჯვისგან გასათავისუფლებლად მასთან გულახდილი საუბარი სურს, საყვარელი თავიანთი კავშირის გამოაშკარავებით ემუქრება, ხელოსანი საცხოვრებელს ტბორავს, მეზობელი წყლის ჩამოსვლაზე ჩივის, მუსიკოსი შვილი მოულოდნელად შინ ბრუნდება... მიშელი, რომელიც მზადაა, ნებისმიერ ფასად დაამყაროს მშვიდობა, დაუფიქრებლად იხლართება თავისივე ტყუილებში, რათა მოიპოვოს არც მეტი, არც ნაკლები - სიმშვიდის ერთი საათი.

მოქმედი პირნი:

მიშელი

ნატალი

ლეო

სებასტიანი, *ვაჟიშვილი*

პაველი, *მეზობელი*

ელზა

პიერი

მისაღები ოთახი. მიშელი ქოშინით შემოდის. იგი აჟიტირებულია.

მიშელი (*მხიარულად*)**:** ნატალი! ნატალი! აქ ხარ? ოჰო, ჰოჰო!.. ნატალი! აქ ხარ? ოჰო, ჰოჰო!.. ძვირფასო...

ნატალი შემოდის.

ნატალი (*ცივად*): აჰ! უკვე დაბრუნდი.

მიშელი: ჰო, სირბილით მოვედი. მე... ყველაფერი რიგზეა? კარგად ხარ? ამ წუთას შემოვედი. ყველაფერი რიგზეა?

ნატალი: კარგ ხასიათზე ჩანხარ.

მიშელი: კარგ ხასიათზე არ ვარ, ნატალი. *არაჩვეულებრივ ხასიათზე* ვარ!

ნატალი: ბედი გქონია.

მიშელი: წარმოუდგენელ ხასიათზე ვარ!

ნატალი: მით უკეთესი.

მიშელი: და იცი, რატომ?

ნატალი: არა, მაგრამ ახლა გავიგებ.

მიშელი ხვდება, რომ ნატალი ცუდ ხასიათზეა.

მიშელი: რა გჭირს?

ნატალი: მე?

მიშელი: კი, შენ, რა გჭირს? მოწყენილი ჩანხარ.

ნატალი: არა.

მიშელი: რამეზე იბუტები? რატომ იბუტები?

ნატალი: არ ვიბუტები.

მიშელი: კარგად გიცნობ, ნატალი. ვიცი, როდის ვერ ხარ ხასიათზე. რა ხდება? რამე პრობლემა გაქვს?

ნატალი: გითხარი, ყველაფერი კარგადაა-მეთქი. უბრალოდ...

მიშელი: რა?

ნატალი: არაფერი. აბა, მითხარი, შენ რატომ ხარ ასეთ *კარგ ხასიათზე?*

მიშელი: დღეს კარგი ამბავი გადამხდა.

ნატალი: ჰო?

მიშელი: *ძალიან* კარგი ამბავი!

ნატალი: მაინც, რა?

მიშელი: *უპირველესი მნიშვნელობის* ამბავი...

ნატალი: აბა, მეტყვი, ბოლოს და ბოლოს, რაზე ლაპარაკობ?

მიშელი: რატომ ბრაზობ?

ნატალი: არ ვბრაზობ. უბრალოდ, შენი ჩვევაა, ასე...

მიშელი: ასე, რა?

ნატალი: არაფრის გამო ამხელა ამბის ატეხა...

მიშელი: გაინტერესებს, ხომ? დაგაინტრიგე, ხომ ასეა?

ნატალი: ოჰ!

მიშელი: მოკლედ, აი, რა ხდება. ხომ იცი, ნილ იუარტს ერთადერთი სოლო ალბომი აქვს გამოშვებული და...

ნატალი: ვინ?

მიშელი: ნილ იუარტი. (*ურეაქციოდ*). ნილ იუარტი... მაიკლ ტორმანის კლარნეტისტი! სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი მიმდინარეობას „soft organic." ეს არაფერს გეუბნება? კარგი რა... Blue Cotton Reverie? Prelude to a Kiss? The big Queen's Hat? არა? ეს კაცი ყველაზე დიდ მუსიკოსებთან ერთად უკრავდა, თუმცა ყველაფერი მნიშვნელოვანი უკვე მის პირველივე სოლო ალბომში იყო თავმოყრილი, სახელწოდებით *Me, Myself and I.* ყველაფერი მანდ არის! ეს მითიური ალბომია, ხვდები? მაგრამ რაღაცნაირად თითქოს მიმოქცევიდან გაქრა. რამდენიმე სპეციალისტის გარდა არასდროს არავის მოუსმენია. ამის მიუხედავად, უკვე წლებია, მაინც ვეძებ, მაგრამ უშედეგოდ. მთლიანად გამქრალია გაყიდვიდან. და დღეს... დღეს...

ნატალი (*ენთუზიაზმის გარეშე*)**:** იპოვე.

მიშელი: შენ რა იცი?

ნატალი: მივხვდი. რა, ასე არ არის?

მიშელი: ჰო, ასეა. შეხედე.

მიშელი აჩვენებს ვინილის ფირფიტას "Me, Myself and I".

ნატალი (*ენთუზიაზმის გარეშე*)**:** ვაუ.

მიშელი: დაუჯერებელია, არა? და იცი, როგორ ვიპოვე? ჯერ ის უნდა გაითვალისწინო, რომ წლების განმავლობაში, პარიზში რაც კი მუსიკალური დისკების მაღაზიაა, ყველას შევეხმიანე, რომ იქნებ როგორმე სადმე მიმეგნო, მაგრამ არავის ჰქონდა. ინტერნეტითაც ვეძებდი. არანაირი შედეგი. და ამ დილით... ამ დილით, ნატალი (*ხმაში შეპარული ემოციით*), ძველმანების ბაზრობაზე დავიარებოდი, ისე, რომ მეც არ ვიცოდი, რას ვეძებდი... ამ დილით ერთ ჩია კაცს გადავეყარე, ძალიან სიმპათიურ ჩია კაცს. დისკებს ჰყიდდა, რომლებსაც, უეჭველად, სხვენში გადააწყდა და უცებ, მთელ ამ ხარახურაში, იცი, რას ვხედავ?

ნატალი: შენს დისკს.

მიშელი: შენ საიდან იცი?

ნატალი: მივხვდი.

მიშელი: ამ ყველაფერში, ჰო, ვხედავ ნილ იუარტის *Me, Myself and I*, ორიგინალ ვერსიას. (*ათრთოლებული ხმით*). წარმოგიდგენია? ორიგინალი ვერსია...

ნატალი: კმაყოფილი უნდა იყო.

მიშელი: ეს კმაყოფილებაზე მეტია. წარმოიდგინე, წლებია, ამ ალბომის მოსმენაზე ვოცნებობ. ჩემთვის იუარტი უპირველესია კლარნეტის გენიოსებს შორის!

ის თავისი აკუსტიკური hi-fi სისტემისკენ მიდის, რომელსაც ფირფიტის წაკითხვის ფუნქციაც აქვს.

ნატალი: ახლა აპირებ ამის მოსმენას?

მიშელი: ცხადია! წლებია, ამ მომენტს ველოდები. ბაზრობიდან, პირდაპირ, გამოვიქეცი. წარმოგიდგენია? ქუჩაში ხალხი მხიარული სახით მიყურებდა. ვგრძნობდი, რომ ფიქრობდნენ, უეჭველი ფისი-ფისი უნდაო... მაგრამ არა, ერთადერთი, რაც მინდა, მოვისმინო ნილ იუარტის *Me, Myself and I.* (*ის დისკს წამკითხველში ათავსებს*). ცოტა ხანში პიერთან მაქვს შეხვედრა.

ნატალი: პიერთან?

მიშელი: ჰო, აქ უნდა მოვიდეს. მინდა, რომ მანამდე მოვასწრო მოსმენა. ზუსტად საჭირო დრო მაქვს... გაგეცინება, მაგრამ როცა ეს აკუსტიკური სისტემა ვიყიდე, მთელი ამ თავისი მოწყობილობით და ვინილების კოლექციის შეგროვება დავიწყე, ჩემს თავს ვუთხარი, როცა შეძლებ, მისაღებ ოთახში კომფორტულად მოკალათებულმა მშვიდად მოისმინო ნილ იუარტის *Me, Myself and I*, აი, მაგ დღეს, მიშელ, მაგ დღეს შენ ბედნიერი კაცი იქნები.

მიშელი აპირებს, რომ „play" ღილაკს დააჭვეს.

ნატალი: ჩართვამდე რომ დაგელაპარაკო, შეიძლება?

მიშელი: რა?

ნატალი: ორი წუთით გცალია? უნდა დაგელაპარაკო.

მიშელი: ახლა?

ნატალი: კი. თუ არ შეგაწუხებ.

მიშელი (*დანანებით*)**:** არა, რა თქმა უნდა. თუ ძალიან გრძელი ამბავი არ არის. რა ხდება?

ნატალი: რთული საკითხია.

მიშელი (*ხვდება, რომ რაღაც პრობლემას ეხება საქმე*)**:** აჰ, ცუდი დრო შეარჩიე.

ნატალი: არა, რთული კი არა, უფრო - *კომპლექსური.*

მიშელი: აჰა! იმედია, არაფერი საგანგაშო...

პაუზა. ნატალი ჯდება.

ნატალი: არ ვიცი, როგორ გითხრა...

პაუზა.

მიშელი: გისმენ.

პაუზა.

ნატალი: დღეს ძალიან დეპრესიულ განწყობაზე ვარ.

მიშელი: რატომ?

ნატალი: არ ვიცი. მორალურად ძალიან დაბალ საფეხურზე ვგრძნობ თავს.

მიშელი: აბა, რას ამბობ, ჩემო ფისო...

ნატალი: არა, მართლა არ ვიცი, მე რას...

მიშელი: რა გჭირს?

ნატალი: ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ...

მიშელი: რომ?

ნატალი: რომ... არ ვიცი.

მიშელი: ისეთი შეგრძნება გაქვს, რომ რა?

ნატალი: სინამდვილეში, ვფიქრობ, რომ მთავარი მიზეზი სებასტიანია.

მიშელი: რა? ახლა რაღა გააკეთა?

ნატალი: არაფერი და საქმეც მაგაშია. უკვე წლებია, არაფერს აკეთებს.

მიშელი: ასე არ არის, ჩემო ფისუნია. მუსიკითაა დაკავებული.

ნატალი: მუსიკით, მიშელ? შენ იმას მუსიკას ეძახი? შენ?

მიშელი: საყვარელი მუსიკალური ჟანრი არ არის, მაგრამ ტექნიკურად მაინც მუსიკად ითვლება. ინსტრუმენტები ხომ არის? ჰოდა, ე.ი. მუსიკაა.

ნატალი: ძალიან ვღელავ მასზე.

მიშელი: სანერვიულო არაფერია... ცოტა დრო მიეცი. ის ჩამოყალიბების პროცესშია.

ნატალი: სადაცაა 30 წელი შეუსრულდება, მიშელ.

მიშელი: უკვე?

ნატალი: ჰო. უფრო სწორად, 29 და არასდროს არაფერი გაუკეთებია. პონტუაზის დასახლებაში ცხოვრობს, სარდაფში.

მიშელი: სარდაფი არ არის, ანტრესოლია. ნუ, კარგი, ფანჯრების გარეშე. მაგრამ მაინც ანტრესოლად ითვლება.

ნატალი: და მისი ქცევა... ვეღარ ვცნობ... გაუწონასწორებელი, ჩაკეტილი და მოღუშულია... და, ბოლოს მის კონცერტზე რომ ვიყავით მისულები, აცნობიერებ, რა გააკეთა? ცოცხალი ღამურა შეჭამა ყველას თვალწინ.

მიშელი: ეს ესთეტიკური აქტი იყო, ნატალი.

ნატალი: ეს ესთეტიკა არ არის, მიშელ, ეს საზიზღრობაა!

მიშელი: არა, არა... მუსიკის ამ ჟანრში ამას ყველა აკეთებს. აბა, როგორ გინდა? ეს არის დღევანდელი ახალგაზრდობა! სარდაფებში ცხოვრობენ, ღამურებს სანსლავენ, ყურის ბარაბნებს იზიანებენ რაღაცა ნაგავი მუსიკით. მაგრამ, სიმართლე რომ ვთქვათ, ისეთი საშიშიც არაფერია. გადაუვლის.

ნატალი: ასე გგონია?

მიშელი: აბა, რა... იცი, მის ასაკში მეც მსგავს რაღაცებს ვაკეთებდი...

ნატალი: შენ?

მიშელი: კი, მე...

ნატალი: მაინც, რას აკეთებდი?

მიშელი: რა ვიცი. მაგალითად, სტუდენტობისას, როცა ფული არ მქონდა, რამდენჯერმე... მოვიპარე.

ნატალი: შენ? მოიპარე? რა მოიპარე?

მიშელი: რა? აჰ! წვრილმანი რაღაცები....

ნატალი: ჰო, მაგრამ რა?

მიშელი: აღარ მახსოვს. ხილი ან რაღაც ეგეთი.

ნატალი: ხილი?

მიშელი: ბაზარში. დახლიდან... რა იყო? ასე რატომ მიყურებ? მშიერი ვიყავი, ნატალი, მშიერი! სხვაგვარად ვერ მოვიქცეოდი. მაგრამ კარგი. რაც იყო, იყო. ხომ ხედავ, დავძლიე. ისეთი საგანგაშოც არაფერია.

ნატალი: კი, მაგრამ, ეგ რა შუაშია? რას ლაპარაკობ?

მიშელი: მაგალითი მოგიყვანე.

ნატალი: ის ღამურებს ჭამს, მიშელ, ღამურებს, ვაშლებს კი არა!

მიშელი: აჭარბებ! მხოლოდ ერთხელ შეჭამა ერთი ღამურა და ისიც - თავის კონცერტზე...

ნატალი: ის უბედურია და ეს მე ბოლოს მიღებს.

მიშელი: კარგი რა, სულაც არა...

ნატალი: როგორ არა! როცა ასეთ მუსიკას ქმნი, როცა სოროში იმალები და როცა მთელი სამყარო გეზიზღება, უკაცრავად, მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ უბედური ხარ.

მიშელი: მას სამყაროს აღქმის თავისებური ხედვა აქვს, სულ ეს არის.

ნატალი: კი და მისი აღქმა შავი ფერისაა, კატასტროფულად შავი. ბოლოს და ბოლოს, გამოფხიზლდი, მიშელ, შენი შვილი მარგინალია.

მიშელი: ეს მარგინალობა არ არის. ის განსაკუთრებულად მგრძნობიარე ახალგაზრდა კაცია, რომელიც საკუთარი თავის ძიებაშია. სულ ეს არის. მისმინე... მგონი დღეს შენი ხედვაც სამყაროზე ცოტა ზედმეტად ნეგატიურია. დაღლილი ხარ და...

ნატალი: საერთოდ არ ვარ დაღლილი.

მიშელი: როგორ არა, დაღლილი ხარ...

ნატალი: არა.

მიშელი: კი-მეთქი.

ნატალი: გეუბნები, რომ არ ვარ დაღლილი.

მიშელი: აბა, დღეს ყველაფერს შავ ფერებში რატომ ხედავ? ჰა? ზუსტად დღეს, როცა ვემზადები, რომ... არა, მისმინე, უნდა გამოიძინო და ნახავ, რომ მერე ყველაფერი უკეთ იქნება.

ნატალი: შენ ვერ ხვდები.

მიშელი: რას?

ნატალი: ვერ ხვდები, შენთვის რის თქმას ვცდილობ. ეს მხოლოდ სებასტიანს არ ეხება. ეს... ეს უფრო ფართო საკითხია.

მიშელი: აჰ!

ხანმოკლე პაუზა.

ნატალი: ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ჩემი ცხოვრება სრულიად უმნიშვნელოა.

მიშელი: ჰო, ნამდვილად, უფრო ფართო საკითხი ყოფილა...

ნატალი: აი, ვფიქრობ და... საბოლოოდ, არაფერს წარმოვადგენთ... იმდენი წელი ვიმუშავე და ახლა რომ ვუფიქრდები... ეს ყველაფერი, რეალურად, რისთვის? ყველაფერი რატომ...

მიშელი: რატომ, *რა?*

ნატალი: აღარ ვიცი, რას ვეძებ. ყველაფერი უაზრობად მეჩვენება... ჩემი სამსახურიც კი...

მიშელი: კი, მაგრამ, ამას რატომ ამბობ? შენ განსაკუთრებული ქალი ხარ... ლამაზი ხარ. ჯანმრთელი. მიყვარხარ. რასაც ხელს მოჰკიდებ, ყველაფერი გამოგდის... მოკლედ, იმის თქმა მინდა... თვალი გაახილე. იმის თქმის მიზეზი არ გაქვს, რომ შენი ცხოვრება უაზროა.

ნატალი: იმიტომ მეუბნები, ყველაფერი გამოგდისო, რომ მასიამოვნო.

მიშელი: არა, ეს სიმართლეა.

ნატალი: იმიტომ მეუბნები, რომ ერთი სული გაქვს, მარტო დაგტოვო და იმ დაწყევლილ დისკს მოუსმინო.

მიშელი: რა დისკს?

ნატალი: ნილ იოგურტს.

მიშელი: იუარტი, ნატალი. იოგურტი არა, იუარტი.

ნატალი: მაგის მოსასმენად მეუბნები ამ ყველაფერს.

მიშელი: არანაირად, ნატალი... არანაირად. საიდან მოიტანე? მე თუ გეუბნები, რომ რასაც მოიწადინებ, ყველაფერი გამოგდის, მხოლოდ და მხოლოდ, იმიტომ, რომ სიმართლეა. აი, შეხედე...

ის მაგალითს ეძებს.

ნატალი: რას?

მიშელი: რა? არა, გითხარი, შეხედე-მეთქი...

ნატალი: ჰო. რას?

მიშელი: ამერიკული სამზარეულო... ეს შენი იდეა იყო, გეგმაც შენ შეიმუშავე... ვცდები? ჰოდა, შეხედე, ეს ნამდვილად კარგად გამოსული საქმეა. ასე არაა?

ნატალი: მე სერიოზულად გელაპარაკები, მიშელ.

მიშელი: მეც... და სააგენტოში?! შეხედე...

ნატალი: რას?

მიშელი: რა? არა, იმას ვამბობდი... სააგენტოში... ყველას უყვარხარ.

ნატალი: ჯულისთან დაუსრულებლად ვკამათობ. (*მიშელი შუბლს ჭმუხნის. არ იცის, ჯული ვინ არის*). მატილდა ვინც ჩაანაცვლა.

მიშელი: აჰ, კი!.. რა თქმა უნდა.

ნატალი: განუწყვეტლივ ვკამათობთ. უფრო სწორად, ამას კამათიც არ ჰქვია. უსიტყვოდ ვეპაექრებით ერთმანეთს, რაც უსიამოვნო გამოხედვაში იკითხება. რაღაც რთულს ვგრძნობ ჩვენ შორის, ძალადობრივს... და ეს მთლიანად მიფუჭებს იმ სასიამოვნო განწყობას, რაც ადრე მქონდა. (*პაუზა*). არაფერს იტყვი?

მიშელი (*ფიქრებით სხვაგანაა*)**:** რა თქვი?

ნატალი: რაზე ფიქრობ?

მიშელი: არაფერზე. მაგ გოგოზე...

ნატალი: საერთოდ ვერ ვუგებთ ერთმანეთს, მართლა გეუბნები. და ეს რთული ასატანი ხდება.

მიშელი: უბრალოდ, ეჭვიანობს, ნატალი, ეს აშკარაა.

ნატალი: ჩემზე? არა, არა.

მიშელი: როგორ არა!

ნატალი: რატომ უნდა ეჭვიანობდეს?

მიშელი (*როგორც ძალიან ცხადი ფაქტი*)**:** შენ ყველაფერი გაქვს, მას - არაფერი.

ნატალი: შენ რა იცი? არც კი იცნობ.

მიშელი: ლოგიკურად მეჩვენება ასე. იმ ყველაფრის გათვალისწინებით, რასაც მიყვები. ჯულის არაფერი აბადია. მაშინ, როცა შენ, ჩემო სიყვარულო... შენ... გარშემო მიმოიხედე...

პაუზა.

ნატალი: იცი, გუშინ, ჩემს ფსიქოლოგთან ვიყავი, ექიმ ვირკეიმთან. ვრცელი დისკუსია გვქონდა და ვფიქრობ, რეალურად, ცოტა ამან ამაფორიაქა. მგონი ეს არის მიზეზი.

მიშელი: დისკუსია. რა თემაზე?

ნატალი: ჩემს ცხოვრებაზე. ჩემი ცხოვრების სტილზე.

მიშელი: და რა თქვა?

ნატალი: რთული საკითხია.

მიშელი: მე მეგონა, რომ კომპლექსური იყო.

ნატალი: რთულიც *და* კომპლექსურიც.

მიშელი: ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ეგ ტიპი ცოტა ვერ არის. შეხედე, რა მდგომარეობაში ჩაგაგდო... კიდევ რა ზღაპრები მოგიყვა?

ნატალი: არაფერი.

მიშელი: მითხარი. (*ნატალი დგება და მოშორებით მიდის*). რაო?

ნატალი: იცი, მართალი ხარ. დავიღალე.

მიშელი: აი, ხომ ხედავ.

ნატალი: წუხელ საერთოდ არ მძინებია.

მიშელი: მართლა?

ნატალი: ჰო. წუთითაც კი.

მიშელი: საბრალო. ძალაგამოცლილი იქნები. წადი, დაწექი.

ნატალი: კი, წავალ, სანამ მოვა, დავისვენებ.

მიშელი: სწორია, უნდა დაისვენო. (*ხანმოკლე პაუზა*). ვინ? სანამ *ვინ* მოვა?

ნატალი: სებასტიანი. შენთვის არ მითქვამს? ვთხოვე, სახლში მოსულიყო.

მიშელი: როდის?

ნატალი: დღეს. სადაცაა, მოვა.

მიშელი (*უკმაყოფილო სახით*)**:** აჰ, მართლა?

ნატალი: კი. მინდა, რომ დაველაპარაკო.

მიშელი: და რამდენ ხანში?

ნატალი: წესით, არ უნდა დაიგვიანოს. (*მიშელი ღრმად ჩაისუნთქავს*). რა იყო?

მიშელი: არა, არა, არაფერი. უბრალოდ, ზარს თუ დარეკავს, შენ... შენ მიხედავ? მინდა, რომ ჩემს დისკს მშვიდად მოვუსმინო. ხომ ხვდები? ამისთვის მხოლოდ ერთი საათი მჭირდება. მეტი არა... სადილად დარჩენა რომ შესთავაზო? ასე მეც ვნახავდი მოგვიანებით. კარგი? აბა, დროებით. კარგად დაისვენე, ჩემო სიყვარულო.

ნატალი სევდიანად უღიმის მიშელს. შემდეგ მიდის, მაგრამ გასვლამდე კართან ჩერდება.

ნატალი: მიშელ...

მიშელი: გისმენ, ჩემო ფისო.

პაუზა.

ნატალი: ხანდახან მგონია, რომ ერთმანეთთან აღარ ვსაუბრობთ.

მიშელი მსუბუქი აღელვებით ხუჭავს თვალებს. ხვდება, რომ ყველაფერი თავიდან იწყება...

მიშელი: აღარ ვსაუბრობთ?

ნატალი: არა.

მიშელი: როგორ არა, ვსაუბრობთ. აი, მაგალითად, თუნდაც, ახლა, რას ვაკეთებთ?

ნატალი: ხანდახან შიშით ვფიქრობ, რომ ჩვენ შორის სხვების ლანდებია ჩამდგარი.

მიშელი: მაგრამ ეს ასე არ არის. აბა, ხედავ სადმე ლანდებს? ხედავ? სულ ტყუილად ღელავ, ნატალი...

პაუზა.

ნატალი: მიშელ...

მიშელი: რა იყო?

პაუზა. ნატალის ვერ გადაუწყვეტია, თქვას თუ არა.

ნატალი: არა. არაფერი.

მიშელი: კარგი...

ნატალი: ჰო. დროებით.

მიშელი: დროებით. კარგად დაისვენე, ჩემო სიყვარულო. (*ნატალი ოთახიდან გადის*). აჰ! კარგი. ახლა კი... (*ხელების ფშვნეტით მიდის აპარატურისკენ*). ჩემო პატარა ნილ იუარტ, როგორც იქნა, მარტო დავრჩით. (აპარატურას *ამოწმებს*). ასე, ასე, ასე. ხმის სიმძლავრე. ჰოპ. (*ვინილის ქაღალდის ჩასადებს დახედავს*). იცი, როგორ გელოდი?!. *Me, Myself and I.* ჯერ მარტო სახელწოდება რად ღირს! აბა, ვიწყებთ! (*„play" ღილაკს აჭერს. იმავე მომენტში ბურღის გამაწვრილებელი ხმა ისმის. მიშელი მოულოდნელობისგან შეხტება*). ეს რაღაა? (*აპარატურას თიშავს*). ეს რა ჯანდაბაა? ნატალი! ეს რა უბედურებაა? ნატალი...

ნატალი ბრუნდება.

ნატალი: რა ხდება?

მიშელი: რას ჰქვია, რა ხდება?! ეს ხმა რას ნიშნავს?

ნატალი: შენი აზრით? სარემონტო სამუშაოებს.

მიშელი: მე მეგონა, უბრალოდ უნდა გადაგვეღება!

ნატალი: ელექტრო-სადენები უნდა ჩაატანოს კედელში.

მიშელი: ელექტრო-სადენები? არ შეგიძლია, სთხოვო, რომ ეგ მოგვიანებით გააკეთოს? გთხოვ, ჩემო სიყვარულო... მინდა, რომ დისკს მოვუსმინო. ხომ შეუძლია, რომ ერთი საათით სხვა რამე გააკეთოს? ბევრს არაფერს ვითხოვ. მხოლოდ სიმშვიდის ერთ საათს.

ნატალი: წავალ, ვეტყვი.

მიშელი: კარგი, გმადლობ. ძალიან კეთილი ხარ.

ნატალი: დროებით.

მიშელი: გმადლობ, ძვირფასო. დროებით. (*ნატალი კარისკენ მიდის*) ჰო, მართლა...

ნატალი: რა იყო?

მიშელი: მიყვარხარ. (*ნატალი გადის. ტელეფონი რეკავს*). ახლა ტელეფონი... (*ყურმილს იღებს*). ალო? ჰო, დედა. კარგად, გმადლობ, შენ? აჰამ, აჰამ. აჰამ, აჰამ. აჰამ, აჰამ. აჰამ, აჰამ, აჰამ. კი. ვინ? მადამ ივონი? რა? კარტში გატყუებს? არა... დარწმუნებული ხარ? ჰო, კარგი, როგორც შენ იტყვი. ხალხი მართლაც, რომ... ჰო. ჰო. ზუსტად. მისმინე, დედა... ახლა ვეღარ დაგელაპარაკები... არა. მე... არა. არა, ეს სარემონტო სამუშაოების... კი, ხომ იცი, შიდა საძინებელს ვარემონტებთ. აი, ზუსტად, კი. პატარა კაბინეტს მოვაწყობთ. ჰო. იმიტომ, რომ მისაღებ ოთახში მშვიდად ყოფნა შეუძლებელია. ჰო, მოგვიანებით დაგირეკავ. კი. დაგირეკავ მოგვია... მოგვია... მოგვია... ეგ რომელი? ბატონი უგი? აჰ, ჩემგან მილოცვა გადაეცი. არა, ჩემგან მილოცვა გადაეცი-მეთქი! ჰო. აჰა, მაშინ, თუ ასეა, ჩემი სამძიმარი გადაეცი. კარგი. ახლა... ახლა უნდა წავიდე... დედა. დედა. დედა! უნდა გავთიშო. მე... ვთიშავ. ვთიშავ, დედა. ვთიშავ, დედა... დედა, ვთიშავ. (*ყურმილს კიდებს*). ო, ლა, ლა! ეს ყველაფერი ოდესმე დასრულდება?! ოდესმე ეს ყველაფერი მოგვარდება?!. კარგი.

მიშელი აპარატურას მოჰკრავს თვალს და სახეზე მომენტალურად დაფენილი ღიმილით მსუბუქად დგამს მისკენ ორ ნაბიჯს, მაგრამ ამ დროს ნატალი შემოდის.

ნატალი: პრობლემაა, მიშელ.

მიშელი: ახლა რაღა მოხდა?

ნატალი: არ ვიცი. თვითონ გეტყვის. ვუთხარი, რომ შენთან ერთად გაერკვია. მე დასაწოლად მივდივარ. მინდა, რომ სებასტიანის ნახვამდე დავისვენო.

მიშელი: კი, მაგრამ, ვინ არის ეს ხელოსანი? სად იპოვე? უცნაური ვიღაც ჩანს, არა?

ნატალი: ელზამ მირჩია. პოლონელია.

მიშელი: ელზამ? მასთანაც გააკეთა რამე?

ნატალი: კი, ხომ იცი, მარეს უბანში პატარა სახელოსნო აქვს, სამუშაოდ...

მიშელი: კი, კი, ვიცი.

ნატალი: ჰოდა, ამის გარემონტებულია.

მიშელი: აჰ, ეს ის არის? აჰა! კარგია.

ნატალი: რატომ თქვი, რომ კარგია? ელზასთან არასდროს ყოფილხარ... ანუ მის სახელოსნოში.

მიშელი: როგორ?

ნატალი: ელზასთან ხომ არასდროს ყოფილხარ?

მიშელი: არა! რისთვის უნდა მივსულიყავი ელზასთან? გეკითხები...

ნატალი: არა, პირიქით, მე გეკითხები.

მიშელი: რა?

ნატალი: იქ არასდროს მისულხარ?

მიშელი: არა. ელზა შენი მეგობარია, ჩემი კი არა.

ნატალი: აბა, რატომ თქვი, რომ...

მიშელი: მე? მე კი არა, ელზამ მითხრა, რომ კარგადაა გაკეთებული. არა? ასე არ არის? კარგადაა, ხომ, ელზასთან?

ნატალი: კი.

მიშელი: ჰოდა, ამიტომაც ვთქვი ასე. რა, არ არის კარგი?

ლეო შემოდის.

ლეო: მე არ შეწუხება თქვენ ძალიან?

მიშელი: შენც ფიქრობ, რომ ელზასთან კარგადაა, ხომ? ანუ, იმის თქმა მინდა, შენ როგორ ფიქრობ?

ნატალი: კარგი, მე მივდივარ, უნდა დავისვენო.

მიშელი: კი, მაგრამ, ვერ ვხვდები, შენ რატომ... ასე არაა? მახსოვს, ერთხელ მითხარი, რომ ელზასთან კარგადაა გაკეთებულიო. სხვათა შორის, ზუსტად ამის გამო დაურეკე ამ... თქვენი სახელი?

ლეო: ლეო.

მიშელი: ლეოს. მხოლოდ და მხოლოდ ამის გამო ვთქვი ეს. ხომ ასეა?

ნატალი: ჰო, ჰო. კარგი. დროებით.

მიშელი: დროებით. დროებით, ჩემო საყვარელო.

ნატალი გადის.

ლეო: შეიძლება თქვენ ლაპარაკი?

მიშელი: რა? ამჯერად რაშია საქმე? რამე პრობლემაა?

ლეო: „პატარა“ პრობლემა...

მიშელი: რა?

ლეო: ბურღით, გახვრეტილი.

მიშელი: როგორ?

ლეო: ბურღით, გახვრეტილი.

მიშელი: ეს, ასე თუ ისე, ლოგიკურია, არა?

ლეო: „დიდი“ გახვრეტილი. ლოგიკური არა. მე შეხებაში საკანალიზაციო სისტემა.

მიშელი: რა თქვით?

ლეო: შენობა საკანალიზაციო სისტემა. გაჟონვა! გაჟონვა!

მიშელი: რა? ჟონავს?

ლეო: გაჟონვა, გაჟონვა. ყველგან წყალი.

მიშელი: შეაკეთეთ? ნახვრეტი ხომ შეაკეთეთ?

ლეო: არა.

მიშელი: აბა, მიდით, მერე! რაც მეტს ვილაპარაკებთ, მეტი წყალი იქნება. იჩქარეთ, იჩქარეთ!

ლეო: ჰო, პარდონ. ყველაფერი შეკეთება. ყველაფერი შეკეთება.

ის სწრაფად გადის.

მიშელი: ყველაფერი შეკეთება, ყველაფერი შეკეთება? კი, მაგრამ, ვინ არის ეს კაცი?! (*კარს გასაღებით კეტავს*). ესეც ასე. სხვანაირად ვერასდროს მოვახერხებ. (*ტელეფონის ყურმილს გადადებს*). ასე. (*პატარა, დასაჯდომ ბალიშს თავის ტყავის სავარძელზე კარგად ათავსებს*). და ასე... აჰ! ახლა კი... (*ისევ ემზადება „play“ ღილაკისთვის დასაჭერად, რა დროსაც მისი მობილური ტელეფონი რეკავს*). მობილური... ჯანდაბა. (*ეკრანს დახედავს*). ელზა? (*ვერ გადაუწყვეტია, უპასუხოს თუ არა. რწმუნდება, რომ არავინ უსმენს. პასუხობს. დაბალ ხმაზე საუბრობს*). ელზა? კი, ვიცი, არ მეცალა საპასუხოდ. მე... არა, ახლა არ შემიძლია, ვწუხვარ... ვერ გელაპარაკები. ეგ სად? ამ უბანში რას აკეთებ? აჰა. არა, მართლა გეუბნები, არ შემიძლია. ყავის დასალევადაც კი ვერა, ვწუხვარ. იმიტომ, რომ ძალიან მნიშვნელოვანი საქმით ვარ დაკავებული... და ჩემს ვაჟს ველოდები წუთი-წუთზე. კი, მასთან ერთად უნდა ვისადილო. იმიტომ... პატარა სასაუბრო მაქვს მასთან და... მის... მოკლედ, მის მომავალს ეხება. ასეა. რა? რასთან დაკავშირებით? არა, რას ამბობ... არა... ეგ საიდან მოიტანე? არა-მეთქი... ტყუილად ნერვიულობ. ჰო. ელზა, უკვე გითხარი, რომ ძალინ მეჩქარება. ვერ შემოგიერთდები. როგორ არა, გავიგე, რაც მითხარი, მაგრამ მეც გეუბნები, რომ უმიზეზოდ ნერვიულობ. არა, ის არაფერს მიმხვდარა! ვერაფერს ხვდება-მეთქი, გეუბნები. მე... მე... მე უნდა... ელზა... მე... შენი ხმა აღარ მესმის... აღარ ისმის... წყდება! წყდება! (თიშავს). და ჰოპ. ავტო-მოპასუხე. *(მობილურს გამორთავს*) ო, ლა, ლა!.. კარგი. (*სავარძელზე ჯდება. უცებ კარზე კაკუნის ხმა ისმის*). არ მჯერა! არა, არ მჯერა! ყველამ პირი შეკრა, რომ როგორმე ჩამიმწარონ ჩემი *Me, Myself and I*! (*კარზე კაკუნი გრძელდება*). მოვდივარ, მოვდივარ... თან, ორიგინალი ვერსია. (*კარის გასაღებად მიდის. ეს სებასტიანია, რომელიც შავებშია გამოწყობილი, გოთიკურ სტილში*). აჰ, შენ ხარ?!

სებასტიანი: ვინ გამოთაყვანებულმა ჩაკეტა ეს მთხლეობა კარი?

მიშელი: ჰმმ... მე.

სებასტიანი: მთხლეობა კარი.

სებასტიანი შემოდის.

მიშელი: გაუმარჯოს.

სებასტიანი: დედა აქ არ არის?

მიშელი: დასასვენებლად წამოწვა. ეს-ესაა, გავიდა. მითხრა, რომ უნდა მოსულიყავი.

სებასტიანი: ჰო. ჩემთან ლაპარაკი უნდოდა.

მიშელი: შენ... როგორ ხარ? სასიამოვნოა, ჩვენს სანახავად რომ შემოიარე.

სებასტიანი: აქ რამე მოსაწევი არ არის?

მიშელი: არა.

სებასტიანი: ფუ, ჩემი. მეც გამითავდა.

მიშელი: კარგად გამოიყურები.

სებასტიანი: ჰო, კარგად ვარ. უჰ!

მიშელი: შენ... მე ახლა ზუსტად... (*უნდა, რომ მიმიკით თავის აპარატურაზე მიანიშნოს, მაგრამ გადაიფიქრებს. პაუზა*). იცი, რომ წინა კვირას შენს კონცერტზე ვიყავით?

სებასტიანი: ვიცი. დედამ მითხრა.

მიშელი: ჩემი შეტყობინება ნახე? შეტყობინება დაგიტოვე... ავტო-მოპასუხეზე.

სებასტიანი: აღარ მახსოვს. რას ამბობდი?

მიშელი: გეუბნებოდი, რომ მოხარული ვიყავი შენს კონცერტზე მოსვლით და შენი მოსმენით, შენს ჯგუფთან ერთად. The Fuckers, ხომ? ვთვლი, რომ იგრძნობა ნამდვილი... ნამდვილი... არა? კი, კი, ასეა. ნამდვილი... როგორ ვთქვა?! ნამდვილი ენერგია იგრძნობა იმაში, რასაც თქვენ აკეთებთ... სერიოზულად. არის... ნამდვილად... კი... ასე ვთქვათ... მოკლედ. რაღაც. არა?

სებასტიანი: მაგ საღამოს ცოტა მყრალი მსმენელი იყო.

მიშელი: ცოტა „გასულები“ იყვნენ, არა? (*მიშელი მარტო მხიარულობს. შემდეგ ისევ დასერიოზულდება*). არა, იმისთვის დაგიტოვე შეტყობინება, მეთქვა, რომ ამაყი... უფრო სწორად, *კმაყოფილი* ვარ შენი საქმიანობის უკეთ გაცნობით. (*პაუზა*). The Fuckers, ეს... ეს ინგლისურიდანაა, ხომ?

სებასტიანი: შენი აზრით?

მიშელი: ლამაზია. კარგად ჟღერს. (*პაუზა*). სადილად დარჩები?

სებასტიანი: არა.

მიშელი: დედაშენს ესიამოვნებოდა.

სებასტიანი: არ ვიცი.

მიშელი: ასე ცოტა საუბარსაც შევძლებდით. ჩვენ ორი. არა? იმიტომ, რომ ზუსტად ახლა მე...

აპარატურაზე ანიშნებს.

სებასტიანი: რა?

მიშელი: შენი მოსვლისას ზუსტად ვემზადებოდი... სამუშაოდ.

სებასტიანი: დედას ვნახავ და გავბრუნდები. ათასი რაღაცა მაქვს გასაკეთებელი.

მიშელი: დასვენება გადაწყვიტა, რადგან მთელი ღამის უძინარია, მაგრამ...

სებასტიანი: რატომ?

მიშელი: რა? არ ვიცი.

სებასტიანი: რამე პრობლემა აქვს?

მიშელი: ვის? დედაშენს? არა...

სებასტიანი: ტელეფონით ლაპარაკისას ცოტა უცნაური მომეჩვენა.

მიშელი: დედა? არა... პირიქით. დარჩი სადილად... ესიამოვნება. მართლა. რაც პონტუაზში გადასახლდი, ხშირად ვეღარ გხედავთ... (*კიდევ გაბურღვის ხმაა*). ახლა რაღას აკეთებს?

სებასტიანი: რემონტი გაქვთ?

მიშელი: ჰო, ჩვენ... უკანა საძინებელი უნდა გადავაკეთოთ.

სებასტიანი: ჩემი ოთახი?

მიშელი: კი. უფრო სწორად, შენი ბავშვობის ოთახი. კაბინეტი უნდა მოვიწყო. ცოტა სიმშვიდეში ყოფნა რომ შევძლო... (*კიდევ ერთხელ ისმის გაბურღვის ხმა, რომელიც ცუდად მთავრდება*). ვაი. ამისთვის დედაშენმა იპოვა ვიღაც ტიპი. პოლონელი. ცნობილია, რომ პოლონელი სანტექნიკოსები საუკეთესოები არიან, მაგრამ ამ შემთხვევაში, მე მგონი, ევროპის მასშტაბით ერთადერთ გამონაკლისს გადავაწყდით!

სებასტიანი: პოლონელებმა საკონცენტრაციო ბანაკები გამოიარეს, მამა. იქ ჩაიხოცნენ. ჩვენ მათ ვერ გავუგებთ.

მიშელი: კი, კი... უეჭველად. მაგრამ ვინც სანტექნიკის სფეროდანაა...

სებასტიანი: ჩვენ მათი გაგება არ შეგვიძლია-მეთქი, გეუბნები.

პაუზა.

მიშელი: კარგი. (*პაუზა. სებასტიანი გაუნძრევლად დგას*). რადგან აქ ხარ, რაღაცას გაჩვენებ... გინდა? რაღაცას, რაც დღეს აღმოვაჩინე...

სებასტიანი: რა თქვი? რას?

მიშელი: რაღაც არაჩვეულებრივს... გინდა?

სებასტიანი: ოჰ!

მიშელი: მოიცადე, აი, ნახავ... რაღაც წარმოუდგენელს. სასწაულების გჯერა? არა, გეკითხები, სასწაულების გჯერა?

სებასტიანი: არა.

მიშელი: მე მჯერა და ახლა გაჩვენებ, რომ ის არსებობს. მზად ხარ? (*პაუზა. პასუხის გარეშე*). მზად ხარ?

სებასტიანი: ჰო.

მიშელი: რომ გითხრა Prelude to a Kiss... ეს არაფერს გეუბნება?

სებასტიანი: ...

მიშელი: ინგლისურადაა... Long Way to Paradise, არა? კარგი. აბა, Before the Blue Blue Sea... არც ეს? Tell Me I'm Beautiful? კარგი რა! Tell Me I'm Beautiful... არა?

სებასტიანი: რაზე ლაპარაკობ?

ხანმოკლე პაუზა, რადგან მიშელი ფიქრობს, რომ ამით მოლოდინის შეგრძნებას ამძაფრებს.

მიშელი: ამ დილით ძველმანების ბაზრობაზე ვიყავი და, და, და...

სებასტიანი: და რა?

მიშელი: და შეხედე, რას გადავაწყდი...

მიშელი ენთუზიაზმით აჩვენებს თავისი დისკის ჩასადებს. სებასტიანი ცალყბად შეავლებს თვალს.

სებასტიანი: ნაგავი მუსიკა.

მიშელი: რას ლაპარაკობ? ნილ იუარტი! ნილ იუარტი, სებასტიან! ეს ნაღების ნაღებია. ეს ალბომი განსაკუთრებულად გამორჩეული არტისტების ნამუშევარია. შეხედე, ივან ლესიონი, ჯონ დელბოტი, და თვით ნაშოფი, მეტსახელით „Prez"... პრეზიდენტი. ეს შენთვის საინტერესო უნდა იყოს, შენ, რომელსაც, ასე ვთქვათ, „მკვეთრი" მუსიკა გიყვარს. ასე არაა? იცი, რომ ჰარდ როკი იმაზე მეტადაა დავალებული ჯაზისგან, ვიდრე წარმოგვიდგენია, თუ გავითვალისწინებთ, რომ...

სებასტიანი: ნაგავი მუსიკა.

მიშელი: ამის თქმის უფლებას ვერ მოგცემ, სებასტიან.

სებასტიანი: Fucking Rat.

მიშელი: ბოდიში?

სებასტიანი: Fucking Rat. ეს ჩემი ახალი სახელია.

მიშელი: შეიძლება ეს შენი სასცენო სახელია, როცა „Fuckers"-ებთან ერთად უკრავ, მაგრამ აქ სცენაზე არ ვართ.

სებასტიანი: ეს ჩემი სახელია. მორჩა. წერტილი.

მიშელი: ვწუხვარ, მაგრამ შენ სებასტიან ლეპრუ გქვია.

სებასტიანი: სებასტიანი მოკვდა.

მიშელი: რა სისულელეებს როშავ?

სებასტიანი: ეს ჩემი ახალი იდენტობაა. ახლა ყველა ასე მეძახის. სებასტიანზე აღარ ვპასუხობ.

მიშელი: ეს უბრალოდ, სიგიჟეა, სებასტიან...

სებასტიანი: Fucking Rat.

მიშელი: სიგიჟეა! ეს სასაცილოა, ჩემო ძვირფასო.

სებასტიანი: შენი აზრი არ მაინტერესებს.

მიშელი: კი, მაგრამ, სებასტიან, შენ...

სებასტიანი: Fucking Rat!

მიშელი: ვერ აცნობიერებ, რომ ეს სახელი არ არის?! ეს სახელი არ არის! ხვდები ამას? ხვდები მაინც?

სებასტიანი: აბა, რა არის?

მიშელი: ეს შეურაცხყოფაა.

სებასტიანი: ეს სუბიექტური აზრია. ჩემთვის, „მიშელი", ეს შეურაცხყოფაა.

მიშელი: მისმინე, ჩემო ძვირფასო...

სებასტიანი: არ მაქვს შენი მოსმენის სურვილი.

მიშელი: კი, მაგრამ, ასეთი ჩაკეტილი რატომ ხარ? მე შეუფასებელი მნიშვნელობის დისკს გაჩვენებ, შენ კიდევ ზედაც არ უყურებ. ეს ალბომი ნამდვილი მარგალიტია. *Me, Myself and I.* იცოდე, ასეთი ქცევით ბევრ რამეს დაკარგავ.

სებასტიანი: რას გულისხმობ?

მიშელი: იმის თქმა მინდა, რომ არტისტის დამახასიათებელი თვისება უნდა იყოს ცნობისმოყვარეობა.

სებასტიანი: არტისტის დამახასიათებელი თვისებაა, იყოს მომთხოვნი.

მიშელი: კი, ასევე. ესეც სწორია. მართალი ხარ. მაგრამ სებასტიან...

სებასტიანი: Fucking Rat!

მიშელი: ჰო, „Fucking Rat," ჰო, მაგრამ იმისთვის, რომ მომთხოვნი იყო, საკუთარი შემეცნებითი ჰორიზონტის მაქსიმალურად გაფართოებაა საჭირო....

სებასტიანი: კარგი. დედა აქ არის?

მიშელი: მისმინე, 10 წლის აღარ ხარ. შეგვიძლია, ვცადოთ, რომ ორი ზრდასრული ადამიანისთვის შესაფერისი პატარა დისკუსია გვქონდეს. რას იტყვი?

სებასტიანი: აქ არის?

მიშელი: თუ გინდა, სანამ დედაშენი გამოვა, ერთად მოვუსმინოთ...

სებასტიანი: რას?

მიშელი: *Me, Myself and I*, New Orleans, 1938, ორიგინალი ვერსია.

სებასტიანი: მაგისთვის არ მცხელა. მის გაღვიძებამდე წავალ, მოსაწევს ვიყიდი. კარგად.

ის კარისკენ მიდის.

მიშელი: კარგი. როგორც გინდა. იმიტომ შემოგთავაზე, რომ ერთად გაგვეზიარებინა რაღაც... მაგრამ როგორც შენ გინდა. მით უარესი. აბა, დროებით. (*სებასტიანი გადის და კარს იჯახუნებს. მიშელი თავისი აპარატურისკენ მიდის. ის ღრმად ამოისუნთქავს*). კარგი... ესეც ასე. როგორც იქნა!

კიდევ ერთხელ მოიფშვნეტს ხელებს. ამ დროს ნატალი გამოჩნდება.

ნატალი: მიშელ...

მიშელი მოულოდნელობისგან შეხტება.

მიშელი: აჰ! შემაშინე...

ნატალი: ბოდიში. სებასტიანი იყო? თითქოს მისი ხმა გავიგე...

მიშელი: რა? ჰო, მაგრამ ისევ წავიდა. ორი ნაბიჯით გაგასწრო... სიგარეტის საყიდლად გავიდა. შენი გაღვიძება არ უნდოდა.

ნატალი: არ მძინებია. ამ ბურღის ხმაში ეს შეუძლებელია.

მიშელი: კი, მაგრამ, ხომ უთხარი რომ აღარ ეხმაურა...

ნატალი: კი.

მიშელი: უთხარი? აბა, რატომ აგრძელებს? გიჟია თუ ვინ არის? წავალ, ვეტყვი, რომ დასვენება გინდა და რომ ცოტა დამშვიდდეს. ბოლოს და ბოლოს, შაბათია. ჯანდაბა! სიწყნარე გჭირდება. სიწყნარის გარეშე როგორ დაისვენებ?!

ნატალი: მოიცადე.

მიშელი: რა იყო?

პაუზა.

ნატალი: სინამდვილეში ეგ არ არის ჩემი უძილობის მიზეზი. იმიტომ ვერ ვიძინებ, რომ...

მიშელი: გისმენ.

ნატალი: არის რაღაც, რაც მოსვენებას არ მაძლევს. იმის თქმა მინდა... ჩემში... ზუსტად მაგაზე მინდოდა წეღან შენთან საუბარი, მაგრამ ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს სადღაც სხვაგან ხარ...

მიშელი: კი, მართალია, რომ...

ნატალი: მაგრამ უნდა დაგელაპარაკო. ეს გარდაუვალია. (*პაუზა*). აუცილებლად უნდა დაგელაპარაკო, გესმის?

მიშელი: კიდევ?

ნატალი: კი.

მიშელი: მაინცდამაინც, ახლა? სადაცაა პიერი მოვა და...

ნატალი: ვიცი.

მიშელი (*მორცხვად ანიშნებს აპარატურაზე*). არა, იმიტომ ვამბობ, რომ მინდოდა... სანამ მოსულა.

ნატალი: ჰო, მაგრამ ეს მნიშვნელოვანია.

მიშელი: კარგი. (*ხანმოკლე პაუზა*). რა ხდება?

ნატალი: არ ვიცი, ამის თქმის გამბედაობა თუ მეყოფა.

მიშელი: რაშია საქმე?

პაუზა. მიშელი ცდილობს, გააანალიზოს, ეს დისკუსია მისთვის რამე საფრთხის შემცველი ხომ არ არის.

ნატალი: ძალიან მკაცრად ნუ განმსჯი, გთხოვ.

მიშელი: რა თქმა უნდა, არა, ფისო, რა თქმა უნდა, არა!

ნატალი: და მაცადე სათქმელის დამთავრება, სანამ...

მიშელი: ცხადია, დაგაცდი. ცხადია! (*პაუზა*). რა გაწუხებს?

ნატალი: მოკლედ... უკვე გითხარი, რომ გუშინ ექიმ ვირკეიმთან ვიყავი...

მიშელი: ძალიან კარგად იცი, მაგ ტიპზე რასაც ვფიქრობ...

ნატალი: მიშელ...

მიშელი: რა?

ნატალი: დამასრულებინე!

მიშელი: ჰო, ჰო... ბოდიში, ბოდიში.

პაუზა.

ნატალი: ჰოდა, მასთან ვიყავი. როგორც მივდივარ ხოლმე, კვირაში ერთხელ. მაგრამ ამჯერად რაღაც განსაკუთრებული მოხდა... მე... როგორ გითხრა? მასთან საუბრისას გავაანალიზე, რომ ჩვენ შორის რაღაც ძველებურად ვეღარ არის.

მიშელი: ჩვენ შორის? რაზე ლაპარაკობ? ყველაფერი კარგადაა. ყველაფერი მშვენივრადაა. ჰო, ასეა, ნატალი. თვალი გაახილე, ბოლოს და ბოლოს, თვალი გაახილე!

ნატალი: *ზუსტადაც,* ფართოდ მაქვს თვალი გახელილი, მიშელ. (*პაუზა*). ასე მგონია, რომ ჩვენში გარკვეული სახის ტყუილები გამოერია.

მიშელი: გარკვეული სახის ტყუილები?

ნატალი: კი, ტყუილები. ჩვენ ორს შორის.

მიშელი: რა ტყუილები? რაზე ლაპარაკობ? არავინ იტყუება, ელზა... უჰ, ნატალი. არავინ იტყუება. არავინ.

ნატალი: კი, როგორ არა.

მიშელი: არა-მეთქი. არა. არავინ იტყუება.

ნატალი: კი.

მიშელი: არა-მეთქი!

ნატალი: კი. *მე,* მე ვიტყუები.

მიშელი (*მექანიკურად*)**:** არა-მეთქი... (*ახლაღა აცნობიერებს, რაც ნატალიმ თქვა*). რა? რა თქვი?

ნატალი: მე ვიტყუები.

მიშელი: შენ?

ნატალი: კი. მე შენ გატყუებდი.

მიშელი: ბოდიში?

ნატალი: წლების განმავლობაში.

მიშელი: შენ? კი მაგრამ, რაზე ლაპარაკობ? (*პაუზა*). რაზე ლაპარაკობ, ნატალი? (*პაუზა*). ამიხსენი...

ნატალი: წლების განმავლობაში.

მიშელი: ნატალი! რაზე ლაპარაკობ? (*კიდევ ერთხელ ისმის ბურღის ხმა*). ახლა რაღა ჯანდაბას აკეთებს? გესმის? არა, გესმის?

ნატალი: მიშელ.

მიშელი: უთხარი, რომ ცოტა ხნით სიმშვიდე გვჭირდებოდა და ის მაინც აგრძელებს. მაინც აგრძელებს! კი, მაგრამ, რას აკეთებს? გვირაბს თხრის?

ნატალი: მიშელ...

მიშელი: რა?

ხმაური წყდება.

ნატალი: შენ გეუბნებოდი რაღაცას, წეღან.

მიშელი: ჰო, ვიცი. ბოდიში. ამ ტიპის ბრალია. შენი პოლონელის. ჩემს ნერვებზე თამაშობს. ბოდიში. აბა, რას ამბობდი?

ნატალი: იმას გეუბნებოდი, რომ რაღაც პერიოდი ერთ კაცთან მქონდა გარკვეული სახის თავგადასავალი.

პაუზა.

მიშელი: რა? რა გქონდა?

ნატალი: თავგადასავალი. მოკლედ, კავშირი, ერთ კაცთან.

მიშელი (*ისე, თითქოს ეს წარმოუდგენელია*)**:** შენ?

ნატალი: კი.

მიშელი: კი, მაგრამ, რას ნიშნავს მთელი ეს ამბავი?

ნატალი: ხომ გითხარი.

მიშელი(*მოუთმენლად*)**:** „ხომ მითხარი, ხომ მითხარი, ხომ მითხრი...“ რა მითხარი?

ნატალი: ერთ კაცთან მქონდა კავშირი და არასდროს მეყო იმის გამბედაობა, რომ შენთვის მეთქვა. (*პაუზა*). არაფერს იტყვი?

მიშელი: რა გინდა, რომ ვთქვა?

ნატალი: არ ვიცი. არ მკითხავ, ვისთან? როდის?

მიშელი: ვისთან?

ნატალი: რა მნიშვნელობა აქვს?

მიშელი: უნდა ვიცოდე! კარგი. მაშინ, *როდის?*

ნატალი: რა თქვი?

მიშელი: როდის?

ნატალი: დიდი ხნის წინ. (*პაუზა*). იმ წელს, აი, კუნძულზე სახლი რომ ვიქირავეთ.

მიშელი: რა? მაგრამ ეს... წლების წინ იყო.

ნატალი: ჰო.

მიშელი: ეს ... ბევრი წლის წინ იყო, ნატალი.

ნატალი (*ისე, თითქოს ეს უარესი იყოს*)**:** ვიცი.

მიშელი: და ეს დიდხანს გაგრძელდა? (*პაუზა*). დიდხანს გაგრძელდა?

ნატალი: არა. ასე, ორ კვირამდე.

მიშელი: ანუ იმას მეუბნები, რომ ოც წელზე მეტი ხნის წინ საყვარელი გყავდა ორი კვირის განმავლობაში? ასეა?

ნატალი (*თვალებს ძირს ხრის*)**:** კი. (*მიშელი სიცილს იწყებს*). რა იყო? რატომ იცინი?

მიშელი: არა, ისე.

ნატალი: მიშელ, რატომ იცინი? ეს სიმართლეა. არ გეხუმრები.

მიშელი: არა, არა, ვიცი, მჯერა შენი. ამის გამო არა...

ნატალი: აბა, რატომ იცინი? გულწრფელად რომ გითხრა, სიცილის მიზეზს ვერ ვხედავ...

მიშელი: ეს იმიტომ, რომ...

ნატალი: რა?

მიშელი: ამის სათქმელად სხვა დრო ვერ შეარჩიე? დაკავებული ვარ. მართალაც რომ, წარმოუდგენელია! ხომ გითხარი, რომ ამ ალბომის მოსმენა მინდოდა, არა? ახლა რატომ მეუბნები ამას? იმის თქმა მინდა, მაინცდამაინც ახლა რატომ? მთელი ამ წლების შემდეგ...

ნატალი: იმიტომ, რომ აღარ შემიძლია შენი მოტყუება, ტყუილში ცხოვრება. ეს აუტანელი გახდა.

მიშელი: მაგრამ, ძვირფასო...

მიშელი მასთან ახლოს მიდის.

ნატალი: გაჩერდი.

მიშელი: შემომხედე.

ნატალი: არა...

მიშელი: იქნებ ეს არც ისეთი საშინელებაა. მთელი ამ წლების შემდეგ...

ნატალი: როგორ არა, საშინელებაა. ამ დროს მხოლოდ სამი წლის დაქორწინებულები ვიყავით. ეს ამაზრზენია.

მიშელი: ასე არ არის.

ნატალი: როგორ არა. აბა, წარმოიდგინე...

მიშელი: მისმინე, ვფიქრობ, საუკეთესო გამოსავალი იქნება, თუკი მთლიანად დავივიწყებთ ამ ამბავს. არ მეთანხმები?

ნატალი: არა.

მიშელი: როგორ არა. ჯობია, საერთოდ აღარ ვილაპარაკოთ ამაზე. (*დიდსულოვნად*). მე გპატიობ...

ნატალის შუბლზე ჰკოცნის.

ნატალი: შენ არ გესმის...

მიშელი: ძალიან კარგად მესმის. მაგრამ ხომ არსებობს ხანდაზმულობის ვადა? მას შემდეგ ოც წელზე მეტი გავიდა. კრიმინალის ჩადენის დროსაც კი ათი წლის შემდეგ ხანდაზმულობის ვადა მოქმედებს. ჰოდა, პატარა ცოლ-ქმრული გადაცდენისთვის...

ნატალი: როგორ შეგიძლია იმის თქმა, რომ ეს პატარა გადაცდენაა? მე წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი. წლების განმავლობაში ამას საიდუმლოდ ვინახავდი... მაგრამ მეტი აღარ შემიძლია, ხვდები? ამ საიდუმლოთი ცხოვრებას ვეღარ ვახერხებ.

მიშელი მოეხვევა.

მიშელი: მოდი, ჩემო სიყვარულო, მოდი. (*ნატალი მისი მკლავებიდან თავს ითავისუფლებს*). გეუბნები, რომ გპატიობ... კარგი, შეცდომა დაუშვი, დიდი ხნის წინ. იმის ტაქტი გეყო, რომ ეს ჩემთვის არ გეთქვა. მაგრამ ახლა შენთვის მნიშვნელოვანია, რომ შენს ცხოვრებაში ყველაფერი თავის ადგილზე დადგეს და ამიტომაც მითხარი. ხომ ხედავ, მესმის და გეუბნები, რომ შენზე არ ვბრაზობ; რომ ჩემი მხრიდან ეს ნაპატიებია.

მიშელი ნატალის უღიმის იმის იმედად, რომ ამით საუბარი დასრულებულად ჩაითვლება.

ნატალი: ხომ ხედავ, არც კი ეჭვიანობ!

მიშელი: რა თქვი?

ნატალი: არც კი ეჭვიანობ...

მიშელი: როგორ არა...

ნატალი: არა. საერთოდ არ განაღვლებს.

მიშელი: აბა, რას ამბობ?! უბრალოდ...

ნატალი: უბრალოდ, რა?

მიშელი: უბრალოდ ეს იმდენად *ძალიან* დიდი ხნის წინ იყო, ძვირფასო. რა გინდა, რომ გითხრა?

ნატალი: რაც უნდა იყოს, ვიცოდი. ვიცოდი, რომ არ ინერვიულებდი. ექიმ ვირკეიმსაც ვუთხარი.

მიშელი: რა უთხარი?

ნატალი: ვუთხარი, რომ არც კი იეჭვიანებდი. სიმართლე ის არის, რომ შენთვის სულ ერთი ვარ.

მიშელი: არანაირად...

ნატალი: როგორ არა. ნორმალური კაცი... იმის თქმა მინდა, ცოლთან მყარ ურთიერთობაში მყოფ კაცს ასეთი რეაქცია არ ექნებოდა... თან, ამ შემწყნარებლური ღიმილით.

მიშელი: რა შემწყნარებლური ღიმილი?

ნატალი: აი, ამ წუთას რომ გაფენია სახეზე.

მიშელი (*ცოტა ცოცხლად*)**:** ყველა თავისებურად ნიღბავს ტკივილს! ვინც როგორ ახერხებს! ჩემი ტანჯვა ამ ფორმით გამოიხატება. სხვაგვარად არ შემიძლია!

ნატალი: აღარ გიყვარვარ.

მიშელი: ამას როგორ ამბობ, ნატალი?!

ნატალი: აღარ გიყვარვარ.

მიშელი: წარმოუდგენელია. მართლაც, რომ დღეს ჩემი დღეა, არა?! კარგი. აბა, რა გინდა? ეჭვიანობის სცენა? ასეა? OK. დავიწყოთ. ძალიან კარგი. ოღონდ სწრაფად, რადგან სხვა საქმეც მაქვს. კარგი, მოკლედ... პირველ რიგში, მითხარი, ვინ არის ეგ ტიპი? ჰა? ვინ არის? *ვინ* არის?

ნატალი: რა მნიშვნელობა აქვს.

მიშელი: როგორ „რა მნიშვნელობა აქვს?“ დამცინი? ვიღაც კაცი ჩემს ცოლთან იწვა. *ჩემს* ცოლთან, ნატალი! და შენ მეუბნები, რომ ამას მნიშვნელობა არ აქვს? ჯანდაბა. იცოდე, გაფრთხილებ, სადმე რომ გადავეყარო მაგ ტიპს, ცხვირ-პირს გავუერთიანებ.

ნატალი: გეყოფა.

მიშელი: რას ჰქვია, მეყოფა? გეუბნები, ცხვირ-პირს დავულეწავ! სად არის? სად არის?

ნატალი: ისიც კი არ იცი, ვინ არის.

მიშელი: ჰოდა, მითხარი! (*პაუზა*). მითხარი. (*პაუზა*). ნატალი, ვინ არის?

ნატალი: შეწყვიტე, მიშელ.

მიშელი (*ძლიერად*)**:** ვინ არის? (*პაუზა. კარზე ზარის ხმაა*). ვინ არის?

ნატალი: მე საიდან უნდა ვიცოდე?! წადი, გააღე.

მიშელი კარის გასაღებად მიდის. ეს პაველია.

პაველი: გამარჯობა.

მიშელი (*უსიამოვნოდ*)**:** გისმენთ?

პაველი: პაველი.

მიშელი: ბოდიში?

პაველი: პაველი. სასიამოვნოა თქვენი გაცნობა. პაველ დუბროვსკი. თქვენი მეზობელი, ქვედა სართულიდან. მეორეზე.

მიშელი: აჰ, დიახ! გამარჯობა.

მიშელი: ხომ არ გაწუხებთ?

მიშელი: ცოტათი, დიახ.

პაველი: ჩემს თავს ნება დავრთე, შემეწუხებინეთ...

მიშელი: კი, ფაქტია.

პაველი: რადგან პატარა პრობლემაა.

მიშელი: ახლა რაღა ხდება?

პაველი: შეიძლება, ერთი წუთით შემოვიდე?

მიშელი: იცით, მაინცდამაინც შესაფერისი მომენტი არ არის.

პაველი: გმადლობთ. (*პაველი შემოდის. ის ნატალის დაინახავს*). გამარჯობა, ქალბატონო...

ნატალი: გამარჯობა. კარგი, მიშელ, მე დაგტოვებთ...სებასტიანი რომ მოვა, დამიძახე.

მიშელი: არა, არა, დარჩი... (*ნატალი გადის*). რით შემიძლია, დაგეხმაროთ?

პაველი: ბოდიშს გიხდით, შაბათი დღის მყუდროება რომ დაგირღვიეთ, მაგრამ წყალდიდობაა თუ რა ხდება? თქვენ არაფერი შეგიმჩნევიათ? იმიტომ, რომ ჩემი საძინებლის ჭერი წყლითაა გაჟღენთილი.

მიშელი: მართლა? აჰ, ჯანდაბა! ახლა რემონტი გვაქვს და შესაძლოა, ეს...

პაველი: ვიცი, ბურღის ხმა გავიგე. სწორედ ამიტომ მივეცი ჩემს თავს ამოსვლის უფლება. ვფიქრობ, რომ წყლის მილის სერიოზული დაზიანება უნდა იყოს.

მიშელი: ახლავე დავუძახებ იმ ხელოსანს, ვინც... (*მიშელი მეორე კარისკენ მიდის*). ლეო! ლეო! ერთი წუთით მოდით! (*პაველს*). პოლონელია, ჩემმა ცოლმა მიაკვლია სადღაც... ვწუხვარ.

პაველი (*გაბრწყინებული სახით*)**:** აჰ! პოლონელია? მეც პოლონელი ვარ. რა საინტერესოა. საიდან არის? კრაკოვიდან?

მიშელი: რა? არ ვიცი.

პაველი: ვარშავიდან?

მიშელი: გეუბნებით, არ ვიცი-მეთქი. დამავიწყდა, მისთვის მეკითხა.

პაველი: არა უშავს, არ ინერვიულოთ. ეს არც ისეთი საშინელებაა. ასეთი რამ ყველას შეიძლება, დაემართოს.

მიშელი: დიახ, დიახ.

პაველი: მეზობლობაში. მიშელი, ხომ? შეიძლება ასე მოგმართოთ?

მიშელი: ჰმმმ... კი.

ლეო შემოდის.

ლეო: დიახ, ბატონო?

მიშელი: ლეო, ქვედა სართულის მეზობელი...

პაველი: პაველი.

მიშელი: დიახ, პაველი ამბობს, რომ მისი ჭერი წყლითაა გაჟღენთილი...

ლეო: გაჟონვა! გაჟონვა!

მიშელი: კი, მაგრამ, ნახვრეტის შეკეთება ვერ შევძელით?

ლეო: ჭუჭყიანი წყლები, ასხამს, ასხამს. ბინძური. ფუჰ.

მიშელი: მაგრამ თქვენ ის შეაკეთეთ. კი თუ არა?

ლეო: ჰო. შეკეთებული, შეკეთებული.

მიშელი (*პაველს*)**:** ამ გამოშტერებულმა ბურღით მილი გახვრიტა. ვწუხვარ. წესით, აღარ უნდა იწვეთოს. ყველაფერი შეკეთებულია. მაგრამ დაზღვევისთვის დეკლარაციის მომზადებაა საჭირო და...

პაველი (*ფართო ღიმილით*)**:** პოლონელი ხართ?

ლეო: ...

პაველი (*მიშელს*)**:** პოლონელია?

მიშელი: კი. წესით, კი.

პაველი: მეც. კრაკოვიდან ვარ. Dzie dobry!

ლეო: ...

პაველი: Dzie dobry!

ლეო: მე, მუშაობა.

პაველი: Jak si masz?

ლეო: ...

პაველი: არ მპასუხობს.

მიშელი: არა. კიდევ ერთხელ სცადეთ.

პაველი: Jak si masz?

ლეო: ...

მიშელი: ლეო, თქვენ პოლონელი ხართ?

ლეო: ჰო.

მიშელი: ე.ი. პოლონური გესმით?

ლეო: ...

მიშელი: ლეო, პოლონური იცით?

ლეო: არა.

მიშელი: პოლონელი ხართ, მაგრამ ამ ენაზე არ საუბრობთ?

ლეო: Uno poco.

მიშელი: რას ნიშნავს ეს სისულელეები? ლეო. ლეო! რას ნიშნავს ეს ყველაფერი?

ლეო: ...

მიშელი: მშობლიური ენა ხომ გაქვთ? როგორც ყველას! ჰოდა, აბა, რომელია? რომელია თქვენი მშობლიური ენა?

ლეო: პორტუგალიური.

მიშელი: პოლონელი ხართ, მაგრამ პორტუგალიურად საუბრობთ? ჩვენს გასულელებას ცდილობთ?

ლეო ტირილს იწყებს.

ლეო: ვწუხვარ. მე ტყუილები. მე ტყუილები. მე პოლონელი არა. მე პორტუგალიელი. პარდონ. პარდონ.

მიშელი: კი, მაგრამ, რატომ?

ლეო: მე ტყუილები.

მიშელი: ჰოდა, რატომ მოიტყუეთ?

ლეო: მე პოლონელი არა.

მიშელი: კი, ეგ გავიგეთ. მაგრამ რა ინტერესი გქონდათ, დაგერწმუნებინეთ, რომ პოლონელი ხართ?

ლეო: არა, მე პორტუგალიელი.

მიშელი: რატომ დაგვაჯერეთ, რომ პოლონელი ხართ?

ლეო (*ტირილით*)**:** პარდონ, პარდონ.

მიშელი: ეს ყველაზე სულელური ტყუილია, რაც კი ოდესმე მომისმენია!

ლეო: პოლონელი მიღება ყველა სამსახური. პოლონელი საუკეთესო გაყვანილობაზე. ჰოდა, მე გავაკეთე დაჯერება მე პოლონელი. სამუშაოს მიღებაზე. მე, ხუთი შვილი, ბატონო. მე ღარიბი.

მიშელი: ასე ნუ განიცდით, ლეო! ეს არც ისეთი საშინელებაა!

ლეო: როგორ არა, საშინელება... საშინელება... მე ტყუილი.

მიშელი: ადექით, ადექით! შეწყვიტეთ ეს წარმოდგენა. ჩვენთვის სულ ერთია, პოლონელი იქნებით, ინგლისელი თუ იტალიელი. ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს! ერთადერთი, რასაც თქვენგან ვითხოვთ, ისაა, რომ ის შიდა ოთახი გადაღებოთ, შენობის დატბორვის გარეშე.

პაველი: და ასევე, სადაზღვევო ანგარიში რომ გაკეთდეს.

ლეო: მე დაზღვევა არა. მე დაზღვევა არა.

მიშელი: რას ნიშნავს, შენ დაზღვევა არა?

ლეო: მე საბუთები არა.

მიშელი: აღრიცხული არ ხართ? ესღა მაკლდა სრული ბედნიერებისთვის! აღრიცხული არ არის ეს შტერი!

ლეო: არა. თქვენ გადახდა მე შავად.

მიშელი: აჰ, დიახ, დიახ! მართალია. ბოდიში. მართალია. კარგი. მოსულა, ლეო. მოსულა. ამ ყველაფრის მოგვარებას ადმინისტრაციული სირთულეების გამო ვერ ახერხებთ, ხომ ასეა? მე მოვაგვარებ ამას ბატონ პამელთან.

პაველი: პაველი.

მიშელი: დიახ. ბატონ პაველთან. კარგი, საკმარისია ეს მოთქმა. საქმეს მივხედოთ, საქმეს!

ლეო: ჰო. მუშაობა. მუშაობა.

მიშელი: მაგრამ უხმაუროდ! გაიგეთ? უხმაუროდ! (*ლეო სწრაფად გადის*). ძალიან ვწუხვარ ამ ყველაფრის გამო. მარტო პორტუგალიელი კი არა, სულელიც ყოფილა.

პაველი: არაფერია.

მიშელი: როგორც გაირკვა, დაზღვევა არ არსებობს. ამიტომ, ჩვენ შორის უნდა მოგვარდეს ეს ამბავი, თუ თქვენ თანახმა იქნებით.

პაველი: მეგობრულად? მეგობრებს შორის ასეთი ამბავი შესაძლებელი უნდა იყოს.

მიშელი: როგორ? კი, კი, ასეა. მოკლედ, ზარალის ანგარიში გამომიგზავნეთ.

პაველი: კი ბატონო. არ არის პრობლემა. შეგვიძლია, მოგვიანებით მივხედოთ მაგ ამბავს.

მიშელი: მშვენიერია. ნებისმიერ შემთხვევაში, მადლობას გიხდით გაგებისთვის.

პაველი: ისეთი არაფერია.

მიშელი: ესეც ასე. (*ელოდება, რომ პაველი წავა. პაუზა*). ესეც ასე.

პაუზა. კვლავ ურეაქციოდ.

პაველი: ლამაზი სახლი გაქვთ.

მიშელი: რა თქვით?

პაველი: ლამაზი სახლი გაქვთ-მეთქი.

მიშელი: გმადლობთ.

პაველი: ძალიან ლამაზი. მე ამ ადგილზე სამზარეულო მაქვს.

მიშელი: როგორ?

პაველი: ამ ადგილზე, მეორე სართულზე ჩვენ სამზარეულო გვაქვს განთავსებული. უცნაურია, ამ ნაწილის მისაღებ ოთახად ნახვა.

მიშელი: დიახ, დიახ, მართლაც...

პაველი: თქვენ ადვოკატი ხართ?

მიშელი: არა. რატომ მეკითხებით?

პაველი: ისე. სასაუბრო თემისთვის.

მიშელი: სამწუხაროდ, ამისთვის არცთუ კარგი მომენტია. ნამდვილად არ მაქვს დრო სასაუბროდ. დაჯდომას არ გთავაზობთ. თქვენც ბევრი საქმე გექნებათ...

პაველი: არა! დრო მაქვს. სასიამოვნოა, თქვენი მხრიდან. ჩემზე ნუ წუხხართ. (*ჯდება*). საბოლოოდ, ასეთი პატარა ინციდენტები მეზობლების გაცნობის შესაძლებლობას გვაძლევს. თქვენ ასე არ ფიქრობთ?

მიშელი: დიახ და არა.

პაველი: ყველაფერში კარგი უნდა ვეძებოთ. ეს ჩემი ფილოსოფიაა.

მიშელი (*თავისთვის*)**:** დაუჯერებელია. დაუჯერებელია...

პაველი: აბა, რას საქმიანობთ?

მიშელი: მისმინეთ... არ მინდა, უკულტურო მოგეჩვენოთ... მით უმეტეს, არსებული სიტუაციისა და იმ პატარა ინციდენტის გათვალისწინებით, რაც ჩვენ შეგვემთხვა... მაგრამ იძულებული ვარ, გთხოვოთ, რომ მარტო დამტოვოთ. გულით ვისურვებდი თქვენს ახლოს გაცნობას, მაგრამ თქვენი მოსვლა მართლაც რომ კრიტიკულ მომენტს დაემთხვა. უმნიშვნელოვანესი საკითხი მაქვს მოსაგვარებელი, რომლის გადადებაც არ შეიძლება. სწორედ ამიტომ, იძულებული ვარ, შემოგთავაზოთ...

პაველი: ყინულის გარეშე, გმადლობთ.

მიშელი: ბოდიში?

პაველი: ყინულის გარეშე-მეთქი. გმადლობთ.

მიშელი: რაზე ამბობთ?

პაველი: ვისკიზე.

მიშელი: რა ვისკი?

პაველი: თქვენ არ შემომთავაზეთ ვისკი?

მიშელი: მე?

პაველი: დიახ. არა?

მიშელი: როდის?

პაველი: ახლა. ორი წამის წინ. თქვენ მე ვისკი შემომთავაზეთ.

მიშელი: არა მგონია, არა.

პაველი: აჰ! დარწმუნებული ხართ?

მიშელი: დიახ.

პაველი: აჰ! როგორც ჩანს, ცუდად გავიგე... ვწუხვარ.

პაუზა.

მიშელი: ვისკი გინდათ?

პაველი: რატომაც არა?!

მიშელი (*თავისთვის*)**:** წარმოუდგენელია...

პაველი: მაგრამ ყინულის გარეშე!

მიშელი: დიახ, დიახ. ყინულის გარეშე. ვიცით უკვე.

მიშელი ვისკის ბოთლსა და ჭიქებს ეძებს.

პაველი: ახალგაზრდობაში ვრომბრიცში ვცხოვრობდი დედაჩემთან ერთად და ჩვენც ზუსტად ასეთი რაღაც შეგვემთხვა წყალგაყვანილობაზე...

მიშელი: ჰო?

პაველი: დიახ. მაგ დროს 11-12 წლის ვიქნებოდი...

მიშელი: მართლა? ძირში გისხამთ, რადგან... ბოთლი თითქმის ცარიელია. სხვათა შორის, უცნაურია, წესით, სავსე უნდა იყოს... რამდენიმე დღის წინ გავხსენი...

პაველი: თქვენს ხელოსანზე ეჭვობთ?

მიშელი: რა? შესაძლებელია, არ ვიცი.

პაველი: ეს მის ენთუზიაზმს ხსნის, ბურღთან მიმართებაში.

მიშელი: დიახ. შესაძლოა. გამომართვით.

მიშელი ჭიქას აწვდის, რომელშიც ძირში ასხია ცოტაოდენი ვისკი.

პაველი: თქვენ არ სვამთ?

მიშელი: არა.

პაველი: დარწმუნებული ხართ?

მიშელი: დიახ, დიახ.

პაველი: თქვენ გარეშე დალევა მეუხერხულება. მიდი, დაისხით...

მიშელი: არა, გმადლობთ.

პაველი: სულ ცოტა.

მიშელი: არა, არა.

პაველი: დაჟინებას აზრი არ აქვს?

მიშელი: აი, ზუსტად.

პაველი: როგორც გინდათ. (*ტუჩებს გაისველებს*). ჰმ... ძალიან კარგია. ჯერ ცოტა უნდა განიავდეს.

მისახვედრია, რომ პაველი ერთბაშად დალევას არ აპირებს.

მიშელი: ვისკის არა, ეს ღვინოს სჭირდება.

პაველი: არა, ცდებით... ვისკიც უნდა განიავდეს.

მიშელი: მართლა?

პაველი: დიახ.

მიშელი: და ეს ხანგრძლივი პროცესია?

პაველი: გააჩნია.

პაველი აპარატურას, დისკებსა და კონკრეტულად, ნილ იუარტის დისკის ჩასადებს ამჩნევს და ხელში იღებს.

მიშელი: დიახ, ეს საკმაოდ ამაღელვებელი ალბომია, რომელსაც ახლახან... მივაგენი.

პაველი: ამაღელვებელი, ამაღელვებელი...

მიშელი: რა თქვით?

პაველი: არა, ამაღელვებელი-მეთქი... თუმცა ამაზე უფრო ამაღელვებელი ალბომებიც არსებობს.

მიშელი: ვისაც მუსიკა უყვარს და განსაკუთრებით, ჯაზი, მისთვის ეს ალბომი მართლაც ამაღელვებელია. ამას დარწმუნებით გეუბნებით.

პაველი: ასე გგონიათ? კიდევ ერთხელ უნდა მოვუსმინო. ეს ისე დიდი ხნის წინ იყო.

მიშელი: რა? ამ ალბომზე ამბობთ?

პაველი: დიახ, ჩემს ახალგაზრდობაში ვუსმენდი, როგორც ყველა.

მიშელი: არა, ვფიქრობ, რაღაც გეშლებათ, ეს ძალიან იშვიათი ალბომია, რომელიც...

პაველი: არა, არა, ძალიან კარგად მახსოვს. *Me, Myself and I.*

მიშელი: დიახ, ასე ჰქვია, მაგრამ სხვა რამეში გეშლებათ. საქმე ეხება ძალიან იშვიათ ალბომს, რომელიც ეს-ესაა, ძველმანების...

პაველი: ნილ იუარტი? კარგი, რა... ეს უბრალოდ ბისკვიტია კრემიან ტორტში... პოპ-ჯაზის კლიშე „თინეიჯერებისთვის.“

მიშელი: ბოდიში?

პაველი: 15 წლის ასაკში ყველა ამ მუსიკაზე ვცეკვავდით.

მიშელი: ეს შეუძლებელია. გეუბნებით, შეცდომაა. რაღაც გეშლებათ.

პაველი: არა-მეთქი. მე...

მიშელი: როგორ არა, გეშლებათ. ეს უმაღლესი დონეა. მწვერვალია. მუსიკალური მწვერვალის უმაღლესი წერტილია. მაგრამ რაც უნდა იყოს, არც კი ვიცი, ამ ყველაფერზე თქვენთან რატომ ვსაუბრობ. ვეჭვობ, რომ მუსიკის არაფერი გაგეგებათ.

პაველი: დიდი არაფერი, დიახ.

მიშელი: აჰა. ჰოდა, როცა არ ვიცით, სხვებს უნდა მოვუსმინოთ. მე პოლონეთზე გელაპარაკებით? გეუბნებით, რომ ეს ხელოვნების თითქმის უნიკალური ნიმუშია. წლებია, რაც... მოკლედ, ეს მითიური მნიშვნელობის ალბომია, რომელიც საერთოდ გამქრალია გაყიდვიდან! ამ დილით სასწაულებრივად აღმოვაჩინე ძველმანების ბაზრობაზე... ჰოდა, რაღაც ზღაპრებს ნუ მიყვებით, რომ პატარაობისას დაუსრულებლად უსმენდით! ეს შეუძლებელია!

პაველი: კი, მაგრამ, რატომ ბრაზობთ?

მიშელი: იმიტომ, რომ არაფრის აზრზე არ ხართ, რაც მუსიკას ეხება!

კარზე ზარის ხმაა.

პაველი: ზარია.

მიშელი: სერიოზულად?

პაველი: დიახ. აი, ახლახან იყო.

მიშელი: ანუ, ზარსა და კლარნეტს შორის სხვაობის გარჩევა შეგიძლიათ? ეს უკვე კარგია.

პაველი: ვწუხვარ. თქვენი განერვიულება არც მიფიქრია. ისეთი რაღაც ვთქვი, რაც...

მიშელი: ნილ იუარტი? პოპ-ჯაზის კლიშე? ჰა, ჰა, ჰა! ნება მომეცით, გავიცინო. (*მეორედ ისმის ზარის ხმა*). კარგი. ალბათ ახლა წასვლას აპირებთ...

პაველი: დიახ, დიახ, უკაცრავად.

მიშელი: ჩემი ვაჟი მოვიდა სადილად. მინდა, რომ მშვიდ გარემოში შევძლო მისი მიღება. შეიძლება? შეიძლება, საკუთარ ვაჟთან ერთად ვისადილო?

პაველი: დიახ. ბოდიში. მე... დაგტოვებთ.

მიშელი: თუ შეიძლება. გმადლობთ. (*კარს აღებს. ეს ელზაა*). ელზა? აქ რას აკეთებ?

ელზა: გამარჯობა, მიშელ. გამარჯობა, ბატონო.

პაველი: პაველი.

ელზა: ბოდიში?

მიშელი: ასე ჰქვია.

ელზა: აჰ, უკაცრავად. ელზა.

პაველი: სასიამოვნოა.

ელზა: უნდა დაგელაპარაკო. ნატალი აქ არის?

მიშელი: თავის ოთახშია. რატომ? რამე რიგზე ვერ არის?

ელზა: ვერა.

მიშელი: რაშია საქმე?

ელზა: გეუბნები, უნდა დაგელაპარაკო-მეთქი.

პაუზა.

მიშელი: აბა, პაველ...

პაველი: ვწუხვარ, თუ რამე ისეთი ვთქვი, რაც...

მიშელი: ჰო, ჰო, ჰო, არა უშავს.

პაველი: არ მინდოდა თქვენ...

მიშელი: არაფერია, არაფერია, არაფერია...

პაველი: მოკლედ, წყლის ჩამოსვლას რაც შეეხება...

მიშელი: მეტყვით, რაც იქნება საჭირო.

პაველი: ძალიან კარგი.

მიშელი: ესეც ასე.

პაველი: ნახვამდის, ქალბატონო.

ელზა: ნახვამდის.

პაველი: მე დაგტოვებთ.

მიშელი (*ხელოვნური ღიმილით*)**:** ნახვამდის, ბატონო პაველ... (*კარს მიაჯახუნებს*). ო, ლა, ლა!.. ო, ლა, ლა!..

ელზა: რა იყო?

მიშელი: არა, ადამიანები ნამდვილად... ადამიანები ნამდვილად... ო, ლა, ლა! ეს რა ხდება დღეს?

ელზა: ვინ არის?

მიშელი: მეზობელი. გამოშტერებული. თან, გაუნათლებელიც. მოკლედ, იმ კატეგორიიდან, ყველაფერზე თავის აზრს რომ გამოთქვამს. აქ რას აკეთებ?

ელზა: მარტოები ვართ? შემიძლია, დაგელაპარაკო? ბოდიში, აქ რომ მოვედი, მაგრამ აუცილებლად უნდა დაგელაპარაკო. ეს მნიშვნელოვანია.

მიშელი: ამჯერად რა მოხდა?

ელზა: ნუ ბრაზობ. მნიშვნელოვანი რომ არ ყოფილიყო, ასე გაუფრთხილებლად არ მოგადგებოდი. თან, შენი ტელეფონიც გათიშულია...

მიშელი: კარგი. რა ხდება?

ელზა: დღეს ელაპარაკე?

მიშელი: ნატალის? კი. რატომ მეკითხები?

ელზა: მისთვის არაფერი შეგიმჩნევია?

მიშელი: არა. უფრო სწორად, კი, ის ცოტა... ცოტა უხასიათოდ იყო. განსაკუთრებული არაფერი. რატომ მეკითხები?

ელზა: არ ვიცი. ამ დილით დამირეკა და უცნაური საუბარი გვქონდა...

მიშელი: მართლა?

ელზა: კი. არ ვიცი, როგორ გითხრა... თითქოს თავის თავს არ ჰგავდა.

მიშელი: ახლა ემოციურად ცოტა რთული პერიოდი აქვს. ისეთი არაფერია. სულ ეს არის?

პაუზა.

ელზა: ტელეფონითაც გითხარი... ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ იცის, მიშელ. გეუბნები, იცის. *ყველაფერი* იცის.

მიშელი: თავიდან არ დაიწყო, ელზა...

ელზა: მაგრამ ასეა...

მიშელი: არა-მეთქი. ამას რატომ ამბობ?

ელზა: გეუბნები, ასეა. ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა. ამ დილით რაღაცნაირად მესაუბრა...

მიშელი: გეჩვენება. რომ მიმხვდარიყო, აუცილებლად დამელაპარაკებოდა. დამიჯერე. კარგად ვიცნობ.

ელზა: ასე გგონია?

მიშელი: აბა, რა.

ელზა: მაგრამ ტელეფონში ისეთი სევდიანი ხმა ჰქონდა. ამიტომაც...

მიშელი: ამას ჩვენთან არანაირი კავშირი არ აქვს. დამიჯერე. სხვა სადარდებელი აქვს. მას „Fucking Rat" აღელვებს.

ელზა: ვინ?

მიშელი: სებასტიანი. მის გამო დარდობს. თან, ფსიქოლოგთან იყო, რომელმაც... ვიღაც გამოთაყვანებულთან, რომელმაც თავის წარსულზე დააფიქრა. მოკლედ, გეუბნები, ამას ჩვენთან არანაირი კავშირი არ აქვს-მეთქი.

ელზა: მით უკეთესი.

მიშელი: ჰო, აბა, რა. ასეა.

ხანმოკლე პაუზა.

ელზა: შეიძლება, ერთი წუთით ჩამოვჯდე?

მიშელი ფიქრობდა, რომ საუბარი დასრულებული იყო.

მიშელი: როგორ?

ელზა: შეიძლება, დავჯდე?

მიშელი: ჰო. მაგრამ...

ელზა: გმადლობ. (*ჯდება. პაუზა*). იცი, ბევრი ვიფიქრე.

მიშელი: ჰო?

ელზა: კი.

მიშელი: რაზე?

ელზა: არსებულ სიტუაციაზე. ასე ვეღარ გავაგრძელებთ. ასე აღარ შეიძლება. ვფიქრობ, რომ უნდა შევწყვიტოთ, მიშელ.

მიშელი თვალებს ზეცისკენ აღაპყრობს, გამომეტყველებით: „ეს არასდროს დასრულდება!“

მიშელი: რაზე ლაპარაკობ, ელზა?

ელზა: ჩვენზე. ერთმანეთის ნახვას ვეღარ გავაგრძელებთ, ასე, მალულად... მეტი ტყუილი აღარ შემიძლია.

მიშელი: მართლაც...

ელზა: მიშელ...

ელზა: რა?

ელზა: მინდა, რომ დავასრულოთ.

მიშელი: ჰო?

ელზა: ჰო.

მიშელი: ძალიან კარგი.

მიშელი საათზე დაიხედავს.

ელზა: უნდა გესმოდეს...

მიშელი (*გულგრილად*)**:** კი, არა, მე მესმის.

ელზა: უნდა გაიგო...

მიშელი: გეუბნები, მესმის-მეთქი.

ელზა: და არაფერს იტყვი?

მიშელი: რა?

ელზა: არაფერს ამბობ?

მიშელი: რასთან დაკავშირებით?

ელზა: იმაზე, რაც ეს-ესაა, გითხარი, რომ ერთმანეთის ნახვა უნდა შევწყვიტოთ...

მიშელი: აჰ, კი! და რა გინდა, რომ ვთქვა?

ელზა: რასაც გრძნობ.

მიშელი: რასაც ვგრძნობ? რასაც ვგრძნობ, მაგას ვერ გეტყვი.

ელზა: რატომ? ასეთ დროს კარგია საუბარი.

მიშელი: იმიტომ, რომ მოკრძალებული ვარ. აი, ამიტომ. დიახ. მოკრძალება, იცი, ეს რას ნიშნავს?

ელზა: ვხვდებოდი, რომ ამ ამბავს ცუდად მიიღებდი.

მიშელი: ცუდად არ ვიღებ. უბრალოდ, ეს ძალიან მძიმეა ჩემთვის. მძიმეა, ხომ გესმის?! მაგრამ ეს შენი გადაწყვეტილებაა. მე მას პატივს ვცემ. იმის მიუხედავადაც კი, რომ, არ შემიძლია იმის დაფარვა, ეს როგორი მძიმეა... აჰ! ელზა... ისეთი რთულია. ვფიქრობ, რომ ახლა ცოტა ხნით მარტო დარჩენა მჭირდება. მარტო უნდა დავრჩე იმისთვის, რომ... ამ ყველაფრის გამოსაგლოვად. ჩემს ცხოვრებაზე დასაფიქრებლად... და ამ ემოციების გადასახარშად... (*პაუზა*). გაიგე? ცოტა დისტანციაა ახლა ჩემთვის საჭირო... რომ გავაანალიზო... ჩემი ცხოვრება.

ელზა: ნატალის წინაშე ჩვენს საქციელსაც ჩავუფიქრდი. ჩემი საუკეთესო მეგობარი... შენი ცოლი... ეს ისეთი შემზარავია, რომ ჩაუკვირდე...

მიშელი: კი, შემზარავი.

ელზა: როცა ამაზე ვფიქრობ, ჩემი თავი მეზიზღება.

მიშელი: ამაზე ადრე უნდა დავფიქრებულიყავით. მოსახდენი მოხდა. აღარაფერი ეშველება და თან, ეს უკვე დამთავრებული ამბავია... ჰოდა, გულწრფელად რომ ვთქვათ, ჯობია, ეს გვერდი გადავფურცლოთ.

ელზა: ჰო, მაგრამ ტყუილი მაინც ტყუილად რჩება. ლაქა არ ქრება.

ელზა ტირილს იწყებს.

მიშელი (*უგულოდ*)**:** ელზა... ელზა, არა... ელზა... აქ არა... ახლა არა. გთხოვ... ელზა...

ელზა: ვფიქრობ, აუცილებლად უნდა ვუთხრა სიმართლე.

მიშელი: რა თქვი?

ელზა: ნატალის სიმართლე უნდა ვუთხრა.

მიშელი: არა, ოღონდ ეს არა, ოღონდ ეს არა, ელზა!

ელზა: ვფიქრობ, ჩვენ ვალდებულები ვართ...

მიშელი: გინდა, რომ ნატალის ყველაფერი უთხრა?

ელზა: კი. ამიტომაც მოვედი. მინდოდა, ჯერ შენ გამეფრთხილებინე. სახლშია?

მიშელი: შენ რა, სრულებით გაგიჟდი?!

ელზა: შეწყვიტე ჩემთან ასე ლაპარაკი, მიშელ! მე გიჟი არ ვარ!

მიშელი: უკაცრავად, მაგრამ სხვა არჩევანი არ არის! ან გიჟი ხარ, ან - სულელი!

ელზა: ასე რატომ უხეშობ?

ელზა: კი, მაგრამ, ელზა... აცნობიერებ? გინდა, რომ დავასრულოთ, ძალიან კარგი! დავყვები შენს ნებას. მაგრამ არანაირი მიზეზი არ არსებობს იმისთვის, რომ ეს ყველაფერი ნატალის უთხრა. არანაირი!

ელზა: ნატალი ჩემი საუკეთესო მეგობარია, მიშელ. ბავშვობიდან ვიცნობ.

მიშელი: ჰოდა, ზუსტადაც! ზუსტადაც!

ელზა: დროა, რომ ყველაფერს ფარდა აეხადოს!

მიშელი: მაგრამ რატომ დღეს? რატომ მაინცდამაინც *დღეს,* ჯანდაბა!

ელზა: იმიტომ, რომ ტყუილის თქმა აღარ შემიძლია.

მიშელი: ეს სიმართლის თქმის მიზეზს არ გაძლევს.

ელზა: როგორ არა. სწორედაც.

ლეო შემოდის.

ლეო: ბატონო, ბატონო... პატარა პრობლემა.

მიშელი: ოჰ, არა! გადით! გადით ახლავე! ხომ გთხოვეთ, რომ არ შეგეწუხებინეთ. ვერ გაიგეთ?

ლეო: მაგრამ...

მიშელი: არავითარი „მაგრამ.“ ვსაუბრობ, ხომ ხედავთ. ვსაუბრობ. საქმეს მიხედეთ! (*ლეო გადის*). წარმოუდგენელია... ელზა... მისმინე. კარგად მომისმინე... მისმენ?

ელზა: კი.

მიშელი: სახლში შემომეჭერი იმის სათქმელად, რომ ჩემი მიტოვება გინდოდა... შაბათ დილით. კარგი. პატივს ვცემ შენს გადაწყვეტილებას. ჩემი წუხილის მიუხედავად. იმიტომ, რომ, დამიჯერე, ეს ჩემთვის მართლაც რთულია, საშინლად. რთული საქმეა, ასე ხელის ერთი მოსმით ხაზი გადაუსვა ყველა იმ მომენტს... იმ ურთიერთკავშირს... რთულია, უარის თქმა იმ ყველაფერზე, რაც ასეთ შარმს... მოკლედ, მე განვიცდი.

ელზა: მეგობრებად დავრჩებით.

მიშელი (*ცოცხლად*)**:** არ დამისრულებია, ელზა! არ დამისრულებია! უნდა გაიგო, რომ ჩემთვის ეს ძალიან მძიმეა.

ელზა: მესმის.

მიშელი: არა, არ გესმის. ასე რომ იყოს, ნატალისთვის ამ ყველაფრის თქმას ფიქრადაც არ გაივლებდი. აბა, რა გამოდის?! გინდა, რომ ერთ დღეში მთლიანად დაანგრიო ჩემი ცხოვრება. ასეა?

ელზა: აჭარბებ.

მიშელი: შევძლებ კი, ჩვენი დაცილების გადატანას? არც კი ვიცი. და ამასთან, ნატალიმაც რომ მიმატოვოს?! იცი, ის სწორედ ახლა მჭირდება, იმ რთული საათების გადასატანად, რაც წინ მელის... სწორედ ახლა მჭირდება, რომ შენთან განშორების შოკიდან გამომიყვანოს...

ელზა: ანუ გირჩევნია, ატყუებდე?

მიშელი: ცხადია.

ელზა: ახლა, როცა ყველაფერი უკან მოვიტოვეთ, გაგებით მოეკიდება. გვაპატიებს.

მიშელი: არა, ელზა, არა... მაშინვე ჩემოდნის ჩალაგებას დაიწყებს. კარგად ვიცნობ. რა, შენ არ იცი მისი ხასიათი?! ის ფიქრობს, რომ 20 წლის წინანდელი ღალატი დღესაც დანაშაულად ეთვლება. ჰოდა, აბა, წარმოიდგინე, რას იფიქრებდა ჩვენს... ჰმმმ! თავის საუკეთესო მეგობართან? ეს ამაზრზენია!

ელზა: ვიცი.

მიშელი: ამას არასდროს მაპატიებს. არასდროს! და მარტო დავრჩები. მარტო, ელზა. ეს გინდა? გინდა, რომ ერთ დღეში ჩამოიქცეს ჩემი ცხოვრება? თანაც, შაბათს. რომელიც, თეორიულად, დასვენების დღეა.

ელზა: მიშელ... ყველაფერი მესმის, რასაც მეუბნები, მაგრამ, ვფიქრობ, ისეთ კონდიციამდე ვარ მისული, რომ იძულებული ვარ, ყველაფერი ვუთხრა. სხვანაირად, სარკეში ჩახედვისას ჩემს თავს თვალს ვეღარასდროს გავუსწორებ.

მიშელი: მაგრამ ეს ძალიან ეგოისტური საქციელია...

ელზა: შეიძლება. მაგრამ სხვაგვარად არ შემიძლია. უნდა დაველაპარაკო.

ნატალი მიშელის ზურგს უკნიდან შემოდის.

მიშელი: გამორიცხულია. გესმის? *გამორიცხულია*!

ნატალი: ელზა... აქ რას აკეთებ?

მიშელი გიჟივით შეხტება.

მიშელი (*პანიკის დაფარვის მცდელობით, მაგრამ ინსპირაციის ნაკლებობით*)**:** გამორიცხულია, ელზა. გამორიცხულია! გესმის? გამორიცხულია! გეუბნები, გამორიცხულია-მეთქი! გა-მო-რიც-ხუ-ლი. იმ შემთხვევისთვის, თუ არ იცი, როგორ იწერება.

ნატალი: რა ხდება?

ელზა: უნდა დავილაპარაკოთ, ნატალი.

მიშელი: ეს, უბრალოდ, გამორიცხულია!

ნატალი: რა არის გამორიცხული?

მიშელი: ეს... გამორიცხულია! ამ საკითხს ასე ვერ დავტოვებ... ჩემს შვილს სებასტიანი ჰქვია, სებასტიანი! და არა "Fucking Rat!"

ელზა: რა?

მიშელი (*ამ თემას ჩაეჭიდება*)**:** როცა დაიბადა, უკაცრავად, მაგრამ მე მივედი მერიაში და მე ავუღე პირადობის მოწმობა. მე "Fucking Rat" არ ჩამიწერია, ელზა. მე ჩავწერე „სებასტიანი," სე-ბას-ტი-ა-ნი. ჰოდა, დიახ, მინდა, რომ ცხოვრებაში მხარში ვედგე, ფინანსურად დავეხმარო, არტისტული კარიერის განვითარებაში ხელი შევუწყო, კი, ნამდვილად მაქვს ამის სურვილი, მაგრამ არა - ასეთ ესთეტიკურ ანომალიას! ამას აზრი არ აქვს, ელზა. აბა, წარმოიდგინე, ის ღამურებს ჭამს! ეს საზიზღრობაა! სარდაფში ცხოვრობს, სადღაც პონტუაზის დასახლებაში! ბოლოს და ბოლოს... რომელ საუკუნეში ვართ?! არა! მისთვის არაფრის გაკეთებას აზრი არ აქვს, ელზა! ჩემი პასუხია - არა.

ნატალი: რაზე ლაპარაკობ?

მიშელი: შენ იცი ახალი ამბავი? შენს ვაჟს უნდა, რომ სცენური სახელით მივმართოთ.

ნატალი: ვიცი. მითხრა.

ელზა: მაგრამ...

მიშელი (*სიტყვას აწყვეტინებს*)**:** ვწუხვარ, მაგრამ არა, ელზა. ამას ნუ მთხოვ!

ნატალი (*ელზას*)**:** შენ პირიქით ფიქრობ?

ელზა: ანუ...

მიშელი: ის ფიქრობს, რომ ბავშვის ნების საწინააღმდეგოდ არ უნდა წავიდეთ; რომ თვითონაც ასე გაზარდა თავისი ვაჟი. ძალიან კარგი. ყველა ისე იქცევა, როგორც უნდა. მაგრამ აჰა, შედეგი სახეზეა.

ელზა: რა შედეგი?

მიშელი: შენს შვილზე... განათლების მიმართულებით.

ელზა: ჩემი შვილი ახლახან ჩაირიცხა ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ბიზნეს-სკოლაში! ის ძალიან წარმატებულია. ლამაზია, სამართლიანი, ჭკვინი... მასზე ყველა ჭკუას კარგავს.

მიშელი; კი, კი, კი... შეიძლება... მაგრამ...

ელზა: მაგრამ, რა?

მიშელი: მაგრამ მისი ნების საწინააღმდეგოდ არასდროს წასვლის შედეგად, პატარა ხარვეზები არის მაინც, საზოგადოებაში ქცევის წესების მხრივ... თუმცა, რაც უნდა იყოს, ყველა თვითონ წყვეტს. მე არ განვსჯი.

ელზა: აჰ, მართლა? მაინც რა ხარვეზი?

მიშელი: რა ხარვეზი?

ელზა: კი. რა ხარვეზია ქცევის წესების საკითხში?

მიშელი: კარგი, რა, ელზა... თვალი გაახილე. (*ნატალის*). მე მეკითხება, თავის შვილს რა ხარვეზები აქვს აღზრდის მიმართულებით...

ელზა: გისმენ.

მიშელი: აი, მაგალითად...

ელზა: აბა?

მიშელი: აი, მაგალითად, ბოლოს რომ ვნახე... ხომ გახსოვს, ეს იყო თებერვალში, ყველა აქ იყავით, სადილად...

ელზა: კი, მახსოვს.

მიშელი: ჰოდა, მაგ დროს შევამჩნიე, რომ შენი ვაჟი... მაგიდასთან დაჯდომამდე... შენს შვილს... ნიკოლას... ხელები არ დაუბანია. კი, ასეა.

ელზა: რა?

მიშელი: დიახ! ვწუხვარ, მაგრამ ჩემი თვალით დავინახე.

ელზა: ხუმრობ?

მიშელი: არანაირად. ვიცი, ახლა რასაც მიპასუხებ, რომ ეს არც ისეთი საშინელებაა. მაგრამ რომ იცოდე შარდის ნარჩენების ან ექსკრემენტული ნაწილაკების პოტენციური რაოდენობა, რაც დასაბან ხელზე შეიძლება იყოს, ალბათ გააცნობიერებდი, ამ ტიპის ქცევა რამდენად არაჯანსაღია არამხოლოდ ჰიგიენის, ელზა, არამედ, კარგი მანერების თვალსაზრისითაც. დიახ, კარგი მანერების! აბა, ეს რა გამოდის?! სადილად ვეწვევით ვინმეს და ხელებს არ ვიბანთ?! და გარშემომყოფებთან ხელის ჩამორთმევით ჩვენს პაწაწინა კუკუნებს ვავრცელებთ?! კარგი, რა, ელზა, რომელ საუკუნეში ვცხოვრობთ?! როგორც გინდა, ისე მოიქეცი შენს შვილთან, მაგრამ დამიჯერე, კარგი მანერების უარყოფა, ეს იგივეა, იქით უბიძგო... იქ... იქ...

ელზა: საით?

მიშელი: რა?

ელზა: ეს იგივეა, რომ საით უბიძგო?

მიშელი: ჯუნგლებში! ზუსტადაც. ჯუნგლებში! ჯუნ-გლე-ბი. ეს საზოგადოებაში ძლიერის გადარჩენის კანონია! აი, რისი თქმა მინდოდა შენთვის. მაგრამ ყველაფრის

მიუხედავად, ისე გაზრდი შენს შვილს, როგორც გსურს. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ *გამორიცხულია*, ჩემს ვაჟთან ასე მოვიქცე. ჰო.

ელზა: შენი ვაჟი სარდაფში ცხოვრობს, მიშელ. წელიწადში ერთხელ იბანს და გინდა, რომ მე ჩამიტარო ლექცია აღზრდის საკითხებზე?

მიშელი: ასეთი რეაქცია რატომ გაქვს? ჩვენ ხომ ახლობლები ვართ?! ერთმანეთისთვის სიმართლის თქმა შეგვიძლია, რაც უნდა იყოს.

ელზა: დიახაც, რომ ახლობლები ვართ და მინდა, რომ სიმართლე ითქვას. *სრული* სიმართლე.

მიშელი: არა!

ელზა: როგორ არა!

მიშელი: არა-მეთქი, ელზა!

ელზა: კი-მეთქი!

ნატალი: რას მიედ-მოედებით თქვენ ორი, საბოლოოდ?

მიშელი (*სულ უფრო ისტერიკულად*)**:** ხომ ხედავ, სიმართლის თქმას საითაც მივყავართ! ისტერიკაში ხარ! ისტერიკაში ხარ! ჯერ კიდევ 10 წუთის წინ მშვიდად ვსაუბრობდით და ახლა, შეხედე, რა მდგომარეობაა... მე შენს ვაჟზე სიმართლეს გეუბნები, ობიექტურ სიმართლეს, ელზა, ობიექტურს და შეხედე, რა მდგომარეობაში ჩავარდი! ასე მგონია, სადაცაა, მეცემი და შუაზე გამგლეჯ. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მირჩევნია, გამაღიზიანებელ თემებს მოვერიდოთ. არ მეთანხმები, ნატალი?

ნატალი: მე...

მიშელი: ხომ ხედავ, ნატალიც მეთანხმება. ჰოდა, ძალიან გთხოვ, აღარ ვისაუბროთ გამაღიზიანებელ საკითხებზე. და დამშვიდდი! კარგი? დამშვიდდი! გავიგე, რომ შენი შეხედულებით, შენი შვილი სრულყოფილების განსახიერებაა. კი ბატონო, გავიგე. ბრავო! უბრალოდ, შეიძლება, ეს ყველას აზრი არ იყოს. შეიძლება. და ერთადერთი, რასაც გთხოვ, ის არის, რომ სხვის აზრს პატივი სცე. დიახ. დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ. სულ ეს არის. საკითხი დახურულია.

ნატალი: კი, მაგრამ, ასეთი აღელვებული რატომ ხარ, მიშელ? ყველაფერი რიგზეა?

მიშელი: მე?

ნატალი: კი. ზედმეტად აღგზნებული ხარ. რაღაც სისულელეებს ლაპარაკობ... რა გჭირს?

მიშელი: მე განათლებაზე ვსაუბრობ, ნატალი. განათლება რაღაც სისულელეა? რაღაც სისულელეა ეს? შეგახსენებ, რომ სწორედ ეს საკითხი განსაზღვრავს საფრანგეთის მომავალს. აბა, გირჩევნია, გასტრონომიაზე ვისაუბროთ? ძალიან კარგი, ვისაუბროთ გასტრონომიაზე. მაგრამ ნება მომეცით, ჩემი აზრი მქონდეს ახალგაზრდების განათლებაზე.

ისევ ლეო შემოდის. სახეზე აღელვება ემჩნევა. მისახვედრია, რომ მასთან მდგომარეობა არ გამოსწორებულა.

ლეო: ბატონო, პარდონ, პარდონ. მე მჭირდება თქვენ.

მიშელი: რა თქვით?

ლეო: საჭირო თქვენ. დახმარება მილის დაჭერაში.

მიშელი: მაგრამ არ შემიძლია. ვსაუბრობ. განათლებაზე ვსაუბრობ.

ლეო: სულ მარტო, ძალიან რთული. ყველგან წყალი.

ნატალი: მიდი, წადი! რას ელოდები?

მიშელი: არა!

ლეო სირბილით გადის.

ნატალი: მიშელ... შენ დაგიძახა.

მიშელი: გავიგე, ნატალი, მაგრამ ვერ დავეხმარები. დროა, რომ მარტომ ისწავლოს მოგვარება. გგონია, მისთვის კარგი სამსახურია, თუ ეცოდინება, რომ ყოველთვის შეუძლია სხვების იმედზე ყოფნა?! არა, დროა, გააცნობიეროს, რომ მარტომ უნდა იმოქმედოს. იმიტომ, რომ ასეთია ცხოვრება. არის მომენტები, როცა მარტოები ვართ. არის მომენტები, როცა მართლა სრულიად მარტოები ვართ ამ სამყაროში!

ნატალი: რაც გინდა, ის ქენი.

მიშელი: ამას მისთვის ვაკეთებ, ნატალი.

ნატალი: კარგი. ელზა, ჩემთან გინდოდა ლაპარაკი...

ელზა: კი.

ნატალი: წამოდი, სამზარეულოში გავიდეთ.

მიშელი: რა?

ნატალი: მიშელს ძალან მნიშვნელოვანი საქმე აქვს გასაკეთებელი...

მიშელი: ძალიან მნიშვნელოვანი, ძალიან მნიშვნელოვანი... მთლად ეგეთი მნიშვნელოვანიც არ არის.

ნატალი: დილიდან მოყოლებული თავისი მუსიკის გარდა არაფერი აინტერესებს.

მიშელი: სულაც არა... ამოვიდა ყელში ეს ნილ იუარტი.

ნატალი: მართლა?

მიშელი: კი. ნილ იუარტი, ნილ იუარტი... ნილ იუარტის გარდა სხვა რამეებიც არსებობს ამქვეყნად! აქ დარჩით, უკეთ იქნებით. სამზარეულოში ნუ გახვალთ. რა სამზრეულოში? არა, მოდი, ელზა, ჩემს სავარძელზე დაჯექი, ნახე, როგორი კომფორტულია. იმ

შემთხვევისთვის, თუ წასვლას არ აპირებ. მალე სადილის დროა. წესით, შენი ქმარი გელოდება.

ნატალი: ელზას ჩემთან საუბარი უნდოდა. საზარეულოში გავალთ. ასე შენც მშვიდად იქნები...

მიშელი: არა, ნატალი! არა.

ნატალი: რა?

მიშელი: ეს ზედმეტად მარტივია!

ნატალი: რა არის ზედმეტად მარტივი?

მიშელი: რა?

ნატალი: რაზე ლაპარაკობ?

მიშელი: ზედმეტად მარტივია, შენი მხრიდან ასე, თავის არიდება. იმის შემდეგ, რაც დილას განმიცხადე... მე მჭირდება... მჭირდება... შენთან დალაპარაკება. ჩვენი თანაცხოვრების საკითხები რომ შევაჯამოთ. გარკვეული დასკვნა რომ გამოვიტანოთ.

ნატალი: ახლა?

მიშელი: კი. ეს მნიშვნელოვანია, ნატალი. ეს *კომპლექსურია.*

ლეო ბრუნდება. მას წყლის ორი მილი უჭირავს. სახეზე პანიკა ეტყობა.

ლეო: ბატონო! სწრაფად! სწრაფად! გატეხვა, გატეხვა...

მიშელი: რა? რა ტყდება?

ნატალი: წადი, ნახე, მიშელ.

ლეო ისევ გადის.

მიშელი: კი, მაგრამ, რა ჩაიდინა ამ შტერმა? ჩვენ კაბინეტის გაკეთება ვთხოვეთ! ჯანდაბა! კაბინეტის, აუზის კი არა! კარგი. ახლავე დავბრუნდები. დამელოდეთ, კარგი? არაფერზე ილაპარაკოთ, სანამ... მე დავბრუნდები. არაფერზე ისაუბროთ. ახლავე მოვალ.

მიშელი დანანებით გადის.

ნატალი: ვწუხვარ. დილიდან ასეა. ისეთი საუბარი გვქონდა... მაგიტომაა ალბათ ასე აღელვებული.

ელზა: აჰ, მართლა?

ნატალი: კი. მოკლედ, კარგი. რისი თქმა გინდოდა ჩემთვის?

ელზა: ჰო, იმისთვის შემოვიარე... მე... ვწუხვარ... შესაფერისი დრო არ არის... მაგრამ უნდა დაგლაპარაკებოდი.

ელზა ჯდება. პაუზა.

ნატალი: პრობლემა გაქვს?

ელზა: კი.

ნატალი: რა დაგემართა?

მიშელი ბრუნდება.

მიშელი: ახლავე მოვალ. გაიგეთ? ახლავე მოვალ.

ისევ გადის.

ნატალი: რა გჭირს?

ელზა: არ ვიცი, როგორ გითხრა... შენ ისეთი წესიერი ხარ... ისეთი ძლიერი...

ნატალი: მითხარი.

ელზა: არის რაღაც, რაც შენ არ იცი. ჩემ შესახებ.

ნატალი: რა?

ელზა: მე ისეთი არ ვარ, შენ რომ გგონია. მე რაღაც საშინელება ჩავიდინე. მორალურად ძალიან უკადრისი... და მრცხვენია.

ნატალი: ჩემთან რისი უნდა გრცხვენოდეს, რას ლაპარაკობ?! შენ ჩემი მეგობარი ხარ...

ელზა: სწორედაც.

ნატალი: მე არ განგსჯი.

ელზა: მპირდები?

ნატალი: ცხადია. რა ხდება?

მიშელი ბრუნდება.

მიშელი: ახლავე მოვალ. ახლავე მოვალ...

მიშელი გადის.

ელზა: მოკლედ, რამდენიმე თვეა, მე... მე... როგორ ვთქვა? ვიღაცასთან მაქვს ურთიერთობა...

ნატალი: შენ?

ელზა: კი.

ნატალი: ანტუანს ღალატობ?

ელზა: კი.

ნატალი: მართლა? და... დიდი ხანია?

ელზა: ასე... დაახლოებით 6 თვეა.

ნატალი: ჰო? და ანტუანმა იცის?

ელზა: არა. (*ნატალი იღიმის*): რა იყო? რატომ იღიმი?

ნატალი: არა, ისე. ჩემთვის ვფიქრობდი, როგორი უცნაურია ცხოვრება...

ელზა: რატომ?

ნატალი: სასაცილოა, ამას მე რომ მეუბნები... ანუ, დღეს რომ მეუბნები. იმიტომ, რომ, იცი, ამ დილით, პირველად გამოვუტყდი მიშელს, რომ ვუღალატე.

ელზა: შენ?

ნატალი: კი. დიდი ხნის წინ.

ელზა: არ ვიცოდი.

ნატალი: ვერასდროს გავბედე ამის თქმა. ვერავისთვის. შენთვისაც კი, ხომ ხედავ. და აი, ამ დილით...

ელზა: რატომ? რატომ უთხარი?

ნატალი: გინდა, გითხრა? იმიტომ, რომ, ჩემს თავს ვეკითხებოდი, იქნებ... მოკლედ, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ისიც, შეიძლება... ისიც...

ელზა: ვინ, მიშელი?

ნატალი: კი. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ რაღაცას მიმალავდა...

ელზა: მიშელი? არა.

ნატალი: არ ვიცი. ეს უბრალოდ ვარაუდი იყო...

ელზა: არა, არა... გეჩვენება.

ნატალი: ნებისმიერ შემთხვევაში, გავაცნობიერე, რომ სიმართლეს თუ მეტყვის, მისი მკაცრად განსჯის უფლება არ მექნება, თუ ჩემი მხრივ...

ელზა: მესმის, კი.

ნატალი: ამიტომაც გადავწყვიტე მისთვის ყველაფრის თქმა. რომ იცოდე... ისეთ სიტუაციაში აღმოვჩნდი... პრობლემა ის არის, რომ იმის გამბედაობა არ მეყო, ამ ყველაფერზე მასთან ერთად დავლაპარაკებოდი...

ელზა: იმის თქმა გინდა, რომ უთხარი...

ნატალი: არა... მხოლოდ ის ვუთხარი, რომ დიდი ხნის წინ ვღალატობდი, მაგრამ არ მითქვამს, ვისთან.

ელზა: და ვისთან?

ნატალი: ისე მრცხვენია.

ელზა: მითხარი.

ნატალი ტირილს იწყებს.

ნატალი: რეალურად, საშინელ სიტუაციაში ვარ...

ელზა: შენც?

ნატალი: კი... საშინელ სიტუაციაში. ვერც კი წარმოიდგენ...

ელზა: რას? (*პაუზა*). რა ხდება, ნატალი?

მიშელი ბრუნდება.

მიშელი: ბინის შიდა ნაწილი მთლიანად მიუნგრ-მოუნგრევია იმ შენს პორტუგალიელს! (*მტირალი ნატალის დანახვისას მაშინვე ჩერდება*). შენ... რა ხდება, ჩემო სიყვარულო?

ნატალი: არაფერი.

ნატალი მოშორებით დგება.

მიშელი (*ელზას*)**:** ყოჩაღ!

ელზა: მე არაფერ შუაში ვარ.

მიშელი: შეხედე, შეხედე. შესანიშნავია. შენი მეგობრობის გამოხატულება ეს არის?!

ელზა: რას ამბობ?

მიშელი: ნატალი... ჩემო სიყვარულო... ჩემო ბაჭია... დამიჯერე, რომ... გაიგე? გეუბნები, რომ... კი, მაგრამ, მსგავსი რამ როგორ დაიჯერე? აბა, კარგად დაფიქრდი... ნატალი... გეფიცები, რომ... გეფიცები, ჩემო სიყვარულო.

ნატალი: რაზე ლაპარაკობ?

მიშელი: რაც უნდა იყოს, ეს არანაირ ლოგიკაში არ ჯდება.

ნატალი: როგორ?

მიშელი: შენ მე ამის გამკეთებელი გგონივარ? მე? მე? გულწრფელად გეუბნები, რომ ეს არანაირ ლოგიკაში არ ჯდება. თვალი გაახილე, მართლა და მართლა. აბა, ამას შეხედე. დამაჯერებლად გამოიყურება?

ნატალი: კი, მაგრამ, რაზე ლაპარაკობ, მიშელ?

მიშელი: რა?

ნატალი: რა არის ლოგიკას მოკლებული?

მიშელი: ის, რაც ელზამ გითხრა. შეხედე... არა, შეხედე რა. გულწრფელად მითხარი, შენ ის სანდოდ გეჩვენება?

ელზა: მე არაფერი მითქვამს.

მიშელი: გეყოფა, ელზა. გეყოფა! ვფიქრობ, დღეისთვის უკვე საკმარისზე მეტი გააკეთე.

ნატალი ცრემლებს იწმენდს.

ნატალი: ასე რატომ ელაპარაკები?

მიშელი: ჩემო სიყვარულო... მისი როგორ გჯერა? კარგად იცი, რომ ცოტა ექსცენტრიკულია...

ელზა: მე?

მიშელი: კარგი. ელზა, შეგიძლია, ჩარევისგან თავი შეიკავო? ჩემს ცოლს ველაპარაკები. ზედმეტად ბევრს ხომ არ ვითხოვ, რომ იქნებ, გვაცადო, ჩვენი, როგორც წყვილის, პრობლემები მარტოებმა გადავწყვიტოთ?

ელზა: მართალი ხარ. ბოდიში.

ის კარისკენ მიდის.

ნატალი: მოიცადე, ელზა...

ელზა: წავალ. მიშელი მართალია.

ნატალი: არა, არა...

ელზა: როგორ არა. დაგირეკავ.

ელზა გადის.

ნატალი: ასე რატომ ელაპარაკები? მას არაფერი დაუშავებია.

მიშელი: არაფერი დაუშავებია? ეს წუთია, რაღაც სისულელეები მოგიყვა... ჭორების გავრცელება ადვილია! ბოლოს და ბოლოს, ნატალი... ბოლოს და ბოლოს, ნატალი... ნატალი... სერიოზულად... ბოლოს და ბოლოს, ნატალი...

ნატალი: რა?

მიშელი: არა, სერიოზულად... ელზა ყოველთვის ცოტა... შენც კარგად იცი. დაინახე, როგორ წავიდა? დაინახე? არა, გულწრფელად გეუბნები, რომ მთლად დალაგებული ვერ არის.

ნატალი: კი, მაგრამ, ელზა რა შუაშია?

მიშელი: როგორ?

ნატალი: რაზე ლაპარაკობ?

პაუზა.

მიშელი: და შენ რაზე ლაპარაკობ?

ნატალი: შენი აზრით?

მიშელი: ჰო, ასეა, ერთსა და იმავე საკითხზე ვსაუბრობთ... არა? (*პაუზა*). რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ...

ნატალი: ეს იმიტომ, რომ ყველაფერი არ იცი.

მიშელი: რასთან დაკავშირებით?

ნატალი: შენ როგორ გგონია?

მიშელი: აჰ, აზრი გამიწყდა უცებ და... რაზე საუბრობ?

ნატალი: იმაზე, რაშიც წეღან გამოგიტყდი.

მიშელი: წეღან?

ნატალი: კი.

ხანმოკლე პაუზა.

მიშელი: რაში გამომიტყდი?

ნატალი: გეყოფა, მიშელ.

მიშელი: არა, სერიოზულად გეუბნები. რაზე ლაპარაკობ?

ნატალი: ძალიან კარგად იცი.

მიშელი გახსენებას ცდილობს.

მიშელი: სებასტიანზე?

ნატალი: არა, მიშელ, არა! სხვა კაცთან ჩემი ურთიერთობის ამბავზე!

მიშელი: აჰ!.. მაგაზე ამბობ?

ნატალი (*როგორც ბუნებრივი ფაქტი*)**:** კი.

მიშელი: მაგრამ ელზა... ისეთი რა გითხრა, რომ აგატირა? რაც უნდა იყოს, არ დაუჯერო!

ნატალი: კი, მაგრამ, მისი მიზეზით არ ვტიროდი. შენ რა, ვერ აზროვნებ თუ რა გჭირს?

მიშელი: აჰ! ეს ისევ იმ ისტორიის... ძველი ისტორიის გამო?

ნატალი: ჰო.

მიშელი: მაგრამ ნატალი... არ შეიძლება, რომ ასე გმართოს ამ ამბავმა... ჩემო ძვირფასო...

ნატალი: ეს პიერი იყო.

პაუზა.

მიშელი: რა თქვი?

ნატალი: რაც გაიგე. ეს პიერი იყო.

მიშელი: პიერი? იმის თქმა გინდა...

ნატალი: ის ამბავი, რაზეც გელაპარაკე.

მიშელი: რა? (*პაუზა*). იმას მეუბნები, რომ...

ნატალი: კი.

მიშელი: ოცი წლის წინ ვისთანაც მიღალატე, ეგ პიერი იყო? (*პაუზა*). პიერი?

ნატალი: ჰო, ვიცი.

მიშელი: პიერი?

ნატალი: ეს რომ არ გამემხილა, გამოდის, რომ სრული სიმართლე არ მითქვამს.

მიშელი: ეს პიერი იყო?

ნატალი: ჰო, კარგი, გეყოფა, ათასჯერ გამეორება საჭირო არ არის.

მიშელი: მაგრამ როცა ამბობ პიერს, გულისხმობ „პიერს?“ ჩემს საუკეთესო მეგობარს? (*პაუზა*). კი მაგრამ, როდის, რატომ, სად, რას ნიშნავს მთელი ეს ამბავი? *პიერი?*

ნატალი: ცოტა ხნის წინ ისე ჩანდა, რომ შენთვის სულ ერთი იყო.

მიშელი: ეს იმიტომ, რომ ამ ამბის მეორე ნაწილი არ ვიცოდი! ის, რომ მიღალატე, კარგი, მესმის, ასე თუ ისე... მაგრამ ის, რომ პიერი ჩემს ცოლთან იწვა! *ჩემს* ცოლთან!

ნატალი: მე მეგონა, რომ ხანდაზმულობის ვადა მოქმედებდა...

მიშელი: კი, მაგრამ, ვერ აცნობიერებ? პიერი ჩემი საუკეთესო მეგობარია.

ნატალი: ვიცი.

მიშელი: არა, ასეთი არაფერი გამიგია! ეს ამაზრზენია. (*ვისკის დასასხმელად მიდის*). ვერ ვიჯერებ.

ნატალი: რას აკეთებ?

მიშელი: ვცდილობ, დავმშვიდდე, ნატალი. ვცდილობ, დავმშვიდდე. მაქვს ამის უფლება?

მიშელი ვისკის სვამს.

ნატალი: პატიებას გთხოვ.

მიშელი: ჰო, მაგრამ შენ გპატიობ. შენ გპატიობ. ეს მას ვერ ვპატიობ. რაც უნდა იყოს, საუკეთესო მეგობრის ცოლთან არ წვებიან. ეს იგივეა, მე რომ იმასთან მძინებოდა.... ელზასთან. აბა, წარმოიდგინე! ეს საზიზღრობაა! სამარცხვინოა! ამორალურია!

პაუზა. ჭიქას ბოლომდე ცლის.

ნატალი: ვიცი, რომ ეს შენთვის რთულია, მაგრამ ექიმმა ვირკეიმმა დამარწმუნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ბოლომდე გავთავისუფლდე ჩემი ტყუილებისგან. ის იმასაც კი ფიქრობს, რომ ერთ-ერთი მიზეზი ესეც არის, სებასტიანი რატომაც ვერ ახერხებს ნორმალურად ცხოვრებას.

მიშელი: სებასტიანი? ამ ყველაფერს სებასტიანთან რა კავშირი აქვს?

ნატალი: რა?

მიშელი: ამ ყველაფერს სებასტიანთან რა კავშირი აქვს?

ნატალი: ექიმი ვირკეიმი ფიქრობს, რომ ეს ოჯახური საიდუმლოა, რომელიც მის წინსვლას აფერხებს.

მიშელი: რა სისულელეს ამბობ?! რა კავშირი აქვს ამ ყველაფერს სებასტიანთან?

ნატალი: ხომ გახსოვს, მისი ჩასახვა, სავარაუდოდ, ჩვენი კუნძულზე ყოფნისას რომ მოხდა?

მიშელი: რა?

ნატალი: ყოველთვის გიყვარდა იმის მოყოლა, რომ ის პლაჟზე ჩაისახა...

მიშელი: ჰო.

ნატალი: ჰოდა, მოკლედ, კი, ეს პლაჟზე იყო, მაგრამ...

მიშელი: მაგრამ, რა?

ნატალი: ვერ ხვდები?

მიშელი: ვერა.

ნატალი: მიშელ, გემუდარები... დამეხმარე. ეს ჩემთვის ისეთი რთულია.

მიშელი: რა?

პაუზა.

ნატალი: ჩემს თავს ვეკითხები, იქნებ... სულ ვფიქრობდი, იქნებ... მოკლედ, შენც ხვდები.

მიშელი: იქნება, რა?

ნატალი: იქნებ...

მიშელი: იქნებ სებასტიანი ჩემი შვილი არ არის, ამას გულისხმობ?

ნატალი: კი.

მიშელი: იმის თქმა გინდა, რომ ჩემი შვილი არ არის?

ნატალი: როგორ არა! რა თქმა უნდა, შენი ვაჟია... იმის გათვალისწინებით, რომ შენ გაზარდე.

მიშელი: რა?

ნატალი: მაგრამ ბიოლოგიურად...

მიშელი: რის თქმას ცდილობ ? რომ ეს ჩლუნგი ჩემი შვილი არ არის?

ნატალი: მე...

მიშელი: ამ მუქთამჭამელის მამა მე არ ვარ?

ნატალი: გონივრული ეჭვი არსებობს.

მიშელი: მე არ ვარ ამ პატარა ჩერჩეტის მამა?!

ნატალი: ვწუხვარ, მიშელ. ეს საშინელებაა.

პაუზა.

მიშელი: რა? მაგრამ... ახლა ყველაფერი ნათელია. ყველაფერი ნათელია! ახლა, რაც ეს მითხარი, ყველაფერი ცხადი გახდა!

ნატალი: რაზე ამბობ?

მიშელი: იყო რაღაც, რაც ლოგიკაში არ ჯდებოდა. რაღაც რიგზე ვერ იყო. არა? არა, რეალურად, ჩვენ ორს არაფერი გვაქვს საერთო! არაფერი, სმენის გარდა. ასე არ არის? ვგრძნობდი. გულის სიღრმეში ყოველთვის ვიცოდი, რომ ეს გამოთაყვანებული ჩემი შვილი ვერ იქნებოდა. და, აბა, მამა ვინ არის? პიერი? რა! პიერი? *პიერი*?

ნატალი: არ მინდოდა, შენთვის ოდესმე ეს მეთქვა, მაგრამ ექიმმა ვირკეიმმა...

მიშელი: ჰო, ჰო, გავიგე.

ნატალი: ისე ძალიან, ძალიან ვწუხვარ... (*კარზე ზარის ხმაა*). ის არის?

მიშელი საათს შეხედავს.

მიშელი: ხომ გითხარი, რომ უნდა მოსულიყო.

ნატალი კარის გასაღებად მიდის. ეს პიერია.

პიერი: *Hello*!

მიშელი: პიერ!

პიერი: როგორ ხარ?

მიშელი: ძალიან კარგად. ძალიან, ძალიან კარგად. ახლა ზუსტად შენზე ვსაუბრობდით.

პიერი: ჩემზე?

მიშელი: კი. ნაბიჭვარო.

პიერი: რა თქვი?

მიშელი: ძალიან კარგად გაიგონე.

ნატალი (*პიერს*)**:** მე მას ყველაფერი ვუთხარი.

პიერი: რა?

ნატალი: ყველაფერი.

პიერი: მართლა? და როდის?

ნატალი: ამ წუთას.

პიერი: ჯანდაბა.

პაუზა.

მიშელი (*შარმიანად*)**:** ჭიქა ვისკის ხომ არ ისურვებდი?

პიერი: სიამოვნებით.

მიშელი უსხამს. უხერხულობის მომენტი.

მიშელი: სასიამოვნოა, ჩვენს სანახავად რომ შემოიარე.

პიერი: ეს ხომ დაგეგმილი გვქონდა.

მიშელი: ყინულის გარეშე?

პიერი: როგორც ყოველთვის.

მიშელი: ანუ ყინულით არა?

პიერი: ისედაც ძალიან კარგად იცი. ყოველთვის ასე მიყვარდა.

მიშელი: და ჩემი ცოლი? ის როგორ გიყვარს?

პიერი: მიშელ...

მიშელი: რა „მიშელ?“

პიერი: მე... ოდესმე მაინც უნდა გაგეგო. (*პაუზა*). ეს ისეთი გაუსაძლისი იყო. (*პაუზა. მიშელი ჭიქას აწვდის*). გმადლობ. (*სვამს*). ხომ გახსოვს, ის სახლი რომ ვიქირავეთ...

მიშელი: კუნძულზე, კი, გმადლობ, ნატალიმ უკვე გამაცნო გარკვეული დეტალები.

პიერი: აჰა. ჰოდა, აი, ყველაფერი იცი.

მიშელი: და შენ, მთელი ამ წლების განმავლობაში ისე იქცეოდი, თითქოს არაფერი მომხდარა.

პიერი: სხვა არჩევანი არ მქონდა. ნატალის შენთვის არაფრის თქმა არ უნდოდა. თან კიდევ, სები...

მიშელი: სები?

პიერი: სებასტიანი.

მიშელი: „სები.“ „თან, კიდევ, სები...“ არა, სად ბანაობ? შენს ვაჟს „Fucking Rat” ჰქვია, ძველო!

პიერი: რა?

ნატალი: არაფერი. მერე აგიხსნი.

მიშელი: და ამ დროს ვფიქრობდი, რომ დიდებული დღე უნდა მქონოდა! ბევრს არაფერს ვითხოვდი... მხოლოდ სიმშვიდის ერთ საათს, რომ ამ ალბომისთვის მომესმინა... მაგრამ არა. ეს შეუძლებელია. ეს პატარა სიამოვნებაც კი აკრძალულია ჩემთვის.

პიერი: საწყალი. ალბათ, როგორ მტანჯველი განცდაა...

მიშელი: მოკეტე.

ნატალი: მიშელ...

მიშელი: ეს უმშვენიერესი დღე უნდა ყოფილიყო... შაბათი. ასე იყო გათვალისწინებული.... მხოლოდ ის მინდოდა, რომ მშვიდად ყოფნის საშუალება მოეცათ და ამ დროს, რას მეუბნებიან? რას ვიგებ? რომ მთელი ჩემი ცხოვრება ტყუილზეა აგებული. თქვენ ჩემი განადგურება გინდათ. ასეა, ხომ?

ნატალი: ვწუხვარ.

პიერი: ამავდორულად, ეს მართლაც ძალიან ძველი ამბავია და...

მიშელი: არა, მე ისეთ იმედგაცრუებას ვგრძნობ.

პიერი: წარმომიდგენია.

მიშლი: სებასტიანი ჩემთვის ყველაფერი იყო... ეს პაწაწინა არსება, რომელიც ჩემს ხელში გაიზარდა...ისეთი მწვავე დარტყმაა იმის გაგება, რომ ის ჩემი შვილი არ არის.

ნატალი: კი, მაგრამ, ის ისევ შენს შვილად რჩება, მიშელ.

მიშელი: აჰ, არა! არა! მას ჰყავდეს! მას ჰყავდეს! სანახევროდ არ მინდა.

ნატალი: მაგრამ, მიშელ...

მიშელი: ნატალი... ვფიქრობ, რომ ახლა მარტო ყოფნა მჭირდება.

პიერი: მარტოს არ დაგტოვებთ, მიშელ.

მიშელი: რას ჰქვია, არ დამტოვებთ?! მე მჭირდება... დაფიქრება მჭირდება ამ ყველაფერზე. თავში სრული ქაოსი მაქვს. მთელს კაცობრიობაზე მაქვს გული აცრუებული...

პიერი: მარტო ყოფნის საშუალებას არ მოგცემთ, მიშელ. ჩვენ შენთან ვართ.

მიშელი: ეს ვერაფერს ხვდება! ახლა უკვე აღარ მიკვირს რაღაც-რაღაცები, რაც გავიგეთ, რომ მამა ეს არის.

პიერი: რაზე ამბობ?

მიშელი: არა, არაფერი. დაივიწყე.

პიერი: უნდა დავილაპარაკოთ, მიშელ.

მიშელი: აჰ, არა! დილიდან მოყოლებული ყველას დალაპარაკება უნდა! ლაპარაკი, ლაპარაკი, ლაპარაკი! ახლა უკვე საკმარისია!

პაუზა. მიშელი კარს აღებს.

ნატალი: რას აკეთებ?

მიშელი: მარტო მინდა დარჩენა.

ნატალი: კი, მაგრამ, მიშელ...

მიშელი: მიდი, გაისეირნეთ. რაც გინდათ, ის ქენით, ოღონდ მე მარტო დამტოვეთ. დასვენება მჭირდება...

ნატალი: ძალიან კარგი.

ნატალი გადის.

პიერი: მიშელ...

მიშელი: შემეშვი.

ნატალი: მოდი, პიერ.

პიერიც გადის. კარი იხურება. მიშელი მარტოა.

მიშელი (*მსუბუქად*)**:** ო, ლა, ლა!.. რას არ გაგაკეთებინებს! რას არ გაგაკეთებინებს!

გადაამოწმებს, ტელეფონი ხომ ნამდვილად გამორთულია და თავის სავარძელზე თავსდება, აპარატურის პირისპირ. „play" ღილაკზე აპირებს დაჭერას და ამ დროს პიერი ბრუნდება.

პიერი: ვწუხვარ, ძმაო, მაგრამ ასეთ მომენტში შენი მარტო დატოვება არ შემიძლია.

მიშელი: არა, არ არსებობს! არ არსებობს!

პიერი: ჩვენ ეს ერთად უნდა გადავლახოთ, გესმის? ერთად...

მიშელი: ერთად? გინდა, რომ ეს ერთად გადავლახოთ? უნდა გრცხვენოდეს, პიერ.

პიერი: მრცხვენია.

ნატალიც ბრუნდება.

ნატალი: ნუ ბრაზობთ, ძალიან გთხოვთ.

მიშელი: ჯანდაბა, ჯანდაბა! შემეშვით! მარტო დამტოვეთ!

პიერი (*ნატალის*)**:** ხომ გითხარი, რომ მძიმედ გადაიტანდა.

მიშელი: მოკეტე!

პიერი (*ნატალის*)**:** ხომ ხედავ. გეუბნებოდი. ნორმალურია, ასე რთულად რომ მიიღო. ეს დიდი შოკია.

მიშელი: ახლა გაჩვენებ მე შენ შოკს!

ის პიერს მივარდება და მუშტს უთავაზებს. პიერი ძირს ეცემა.

ნატალი: მიშელ! არა!

პიერი: ისეთი რა ვთქვი?

მიშელი: დაახვიეთ აქედან!

სებასტიანი შემოდის. ის სიგარეტს ეწევა.

სებასტიანი: სალამი. რა ხდება?

ნატალი: სებასტიან.

სებასტიანი: Fucking Rat! ჯანდაბა! რამდენჯერ უნდა გაგიმეოროთ? ასეთი ძნელია ამის დამახსოვრება?

მიშელი: და ეს.... ამის გულისთვის მოიყვანე? ნატალი... გინდოდა, რომ ეს დიდებული ამბავი მისთვისაც გემცნო?

ნატალი: უფლება აქვს, იცოდეს. შენ ასე არ ფიქრობ?

სებასტიანი: რა დიდებული ამბავი?

მიშელი: დიდებული ამბავი *და* დიდი შვება.

სებასტიანი: რაზე ლაპარაკობთ?

მიშელი: ესენი აგიხსნიან.

ნატალი: ჩემო ძვირფასო... "Fuscking Rat."

სებასტიანი: „Fucking." "Fuscking" არა.

ნატალი: ბოდიში. „Fucking."

მიშელი: ინგლისურიდან, ძვირფასო, *to fuck*.

სებასტიანი: რაშია საქმე?

ნატალი: რაღაც უნდა გითხრა. დიდი ხანია, ამის თქმა მინდა. რაღაც მნიშვნელოვანი.

მიშელი: კი, მაგრამ, ნატალი, ასე ვერ ეტყვი. რა ვიცი, მინიმუმ, დელიკატურობა უნდა გამოიჩინო... პირისპირ უნდა დაელაპარაკო... სხვაგან. ჩვენი თანდასწრებით სწორი არ არის. შეგახსენებ, რომ მგრძნობიარე ბიჭია. ჰო, ჰო, ასეა. განსაკუთრებულად მგრძნობიარე.

სებასტიანი (*გაღიზიანებული*)**:** მე? მე ვარ მგრძნობიარე?

მიშელი: ჰო, შინაგანად. მე ასე მგონია.

სებასტიანი (*მუქარით*)**:** მე?

მიშელი: კი. გულის სიღრმეში. გულის სიღრმეშია მგრძნობიარე. ძალიან სიღრმეში, კი ბატონო, მაგრამ ეს მაინც მგრძნობიარედ ითვლება. ემოციურია. კი, კი, ძალიან ემოციურია. შესაფერისი დრო უნდა შეარჩიო მასთან მშვიდად საუბრისთვის. სხვა ოთახში. სხვაგან. და პიერიც თან უნდა წაიყვანო. ასე არ არის?

პიერი: მართალს ამბობს.

სებასტიანი: რაზე ლაპარაკობთ?

ნატალი: პატიება უნდა გთხოვო, ჩემო ძვირფასო.

ნატალი ტირილს იწყებს.

სებასტიანი: რას ბოდიალობთ, ვერაფერი გავიგე...

ლეო შემოვარდება. თან ქურთუკის ჩაცმას ამთავრებს. რაღაცის თქმაზე ორჭოფობს, მაგრამ არჩევს, რომ უსიტყვოდ გაეცალოს იქაურობას და სასწრაფოდ გარბის მთავარი შემოსასვლელი კარით.

პიერი: ეს ვინ იყო?

მიშელი: გაიქცა?

ნატალი: სებასტიან...

სებასტიანი: Fucking Rat.

მიშელი: პორტუგალიელი გაიქცა!

სანტექნიკის შემაშფოთებელი ხმაური ისმის.

ნატალი: მიშელი მამაშენი არ არის.

სებასტიანი: რა?

მიშელი: ვწუხვარ.

ნატალი: დიდი ხნის წინ... სხვა კაცთან მქონდა ურთიერთობა. 29 წლის წინ.

სებასტიანი: რა?

ნატალი: ვერასდროს ვერავისთვის გავბედე ამის თქმა. მაგრამ მგონია, რომ სწორედ ეს არის მიზეზი, რის გამოც შენ... მოკლედ, შენ... პიერი. პიერია მამაშენი.

სებასტიანი: ამ ბაითში ყველას გაგიფრენიათ.

ნატალი: ვიცი, რომ ეს შენთვის დიდი შოკია, მაგრამ ჩავთვალე, რომ უფლება გქონდა, სიმართლე გცოდნოდა... და მინდა, რომ მაპატიო.

კარზე აკაკუნებენ.

მიშელი: არ გაინძრეთ, მე გავაღებ.

პიერი (*სებასტიანს*)**:** იცი, წლებია, ეს ამბავი ვიცი, მაგრამ შენთვის ამის თქმა არ შემეძლო. მთელი ამ წლების განმავლობაში თვალს გადევნებდი, როგორ იზრდებოდი. ეს ისეთი ემოციური იყო.

სებასტიანი: დაახვიე რა, გამოშტერებული ხარ, ვიღაცა.

მიშელი კარს აღებს. ეს პაველია.

პაველი: ძალიან დიდი პრობლემაა!

მიშელი: რა?

პაველი: ჩემს საძინებელში კოკისპირულად წვიმს.

მიშელი: მისმინეთ, პაველ, მართლა ძალიან ცუდ დროს მოხვედით...

პაველი შემოდის.

პაველი: გეუბნებით, ჩემს ოთახში წვიმს-მეთქი.

პიერი: ვერ ხედავთ, რომ ოჯახური კრება გვაქვს?

პაველი: არ მაინტერესებს! მღვრიე წყალი ჩამოდის! თქვენი ხელოსანი სად არის?

მიშელი: გაიქცა...

პაველი: პორტუგალიელი? შეუძლებელია!

მიშელი: ნატალი, ვგრნობ, რომ მართლა სერიოზული პრობლემაა იმ შენს პოლონელთან დაკავშირებით...

ნატალი: ჩემი კი არა, ელზას პოლონელია.

მიშელი: როგორც გინდა იყოს, პოლონელი საერთოდაც არ არის.

პაველი: ცხადია, რომ პოლონელი არ არის! პოლონელთან ასეთი რამ არასდროს მოხდებოდა.

პაველი მაჯებს იკაპიწებს, თან კაბინეტისკენ მიემართება და გადის.

პიერი: მიშელ, შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი რაღაცებიც არსებობს, ვიდრე - სანტექნიკის პატარა პრობლემები! შენ ასე არ ფიქრობ? სებასტიანმა ეს-ესაა, გაიგო, რომ...

სებასტიანი: როგორ დამიძახე?

პიერი: რა თქვი?

სებასტიანი: როგორ დამიძახე, შენ ნაძირალა?

პიერი: სებასტიანი.

სებასტიანი ძლიერად უთავაზებს მუშტს. პიერი მეორეჯერ ეცემა ძირს. მისი დაცემისას შეიძლება, რომ რამე ავეჯიც წაიქცეს.

სებასტიანი: უკვე სერიოზულად ამომივიდა ყელში! უნდა დაგიმარცვლოთ ჩემი სახელი, თუ რა ხდება?

პიერი (*ისევ ძირსაა*)**:** კი, მაგრამ, ისეთი რა ვთქვი?

სებასტიანი: ვატყობ, რომ აქედან უნდა დავახვიო. კარგი, დედა, რისი თქმა გინდოდა?

ნატალი: როგორ?

სებასტიანი: ხომ რაღაც მნიშვნელოვანი ამბის სათქმელად მომიყვანე. აბა, რა უნდა გეთქვა?

ნატალი: უკვე გითხარი. მამაშენის თაობაზე.

სებასტიანი: ჰო?

პიერი: ვინმეს ბამბა ხომ არ გაქვთ? სისხლი მომდის.

ნატალი: ეს-ესაა, გითხარი...

სებასტიანი: რა?

ნატალი: რომ მიშელი მამაშენი არ არის.

სებასტიანი: აჰ! ეგ...

ნატალი: ჰო.

სებასტიანი: სულ ეს არის? და პონტუაზიდან აქ ამის სათქმელად გამომიყვანე?

პაველი შიდა ოთახიდან ბრუნდება. ისეთი სველია, თითქოს წყლით სავსე სათლი გადაასხეს.

პაველი: ეს კატასტროფაა! კატასტროფა!

მიშელი: ახლა რაღაა?

პაველი: ტალახის ნიაღვარი მოედინება... სასწრაფოდ უნდა დავრეკოთ სამაშველო სამსახურში! მაშველები! ვინმემ ნომერი იცის?

პიერი გაბედულად წამოდგება.

პიერი: არ შეგიძლიათ, რომ ყოველ სამ წუთში ერთხელ აღარ შეგვაწყვეტინოთ საუბარი ამ თქვენი წყლის მილების ამბებით?

პაველი: მგონი, ვერ მიხვდით...

პიერი: მე კი მგონია, რომ ეს *თქვენ* ვერ მიხვდით ვერაფერს. ამ "ბავშვის" მამა მე ვარ.

პაველი გაშეშდება.

პაველი: როგორ?

პიერი: მე ამ ბავშვის მამა ვარ.

პაველი: აჰ, ბოდიში, არ ვიცოდი. ვწუხვარ.

პაუზა. პაველი პიერს სოლიდარობის ნიშნად მხარზე ხელს ადებს.

სებასტიანი (*პაველს*)**:** რამე პრობლემაა?

პაველი: არა, არა.

სებასტიანი (*მუქარის ტონით*)**:** რამე პრობლემაა? რა პრობლემაა?

პიერი: მშვიდად, ჩემო ბიჭო.

სებასტიანი: შენ მოკეტე.

პიერი: მამა.

სებასტიანი: რა?

პიერი: „მამა"-მეთქი. „მოკეტე, მამა." სულ თავიდან გვაქვს გასავლელი აღზრდა-განათლების საკითხები.

სებასტიანი კიდევ ერთ მუშტს უთავაზებს. შესაძლებელია, კიდევ სხვა ავეჯიც გადაყირავდეს საბოლოო სურათის - არეულ-დარეული გარემოს მოსამზადებლად. ამჯერად, პიერს წამოდგომა უჭირს.

ნატალი: არა!

პაველი: შეწყვიტეთ ცემა-ტყეპა! სადაცაა, ბინა წყლით აივსება. საერთოდ არ გაქვთ პრიორიტეტების შეგრძნება!

ისევ კაბინეტისკენ მიდის.

მიშელი: კარგი. ვინმეს ჭიქა ვისკი ხომ არ უნდა? გასინჯავს ვინმე? მგონი, არ გვაწყენდა.

ნატალი: მიშელ... პიერი ძირს გდია. აღარ ინძრევა.

მიშელი: აბა, როგორ გინდა?! მამობის ბედნიერება გამოსცადა.

ნატალი: სისხლი მოსდის.

მიშელი: ყინული უნდა დავადოთ...

მიშელი ჭიქიდან ყინულის ნატეხს იღებს.

ნატალი: პიერ, როგორ ხარ? თავს როგორ გრძნობ?

პიერი გაჭირვებით წამოდგება.

პიერი: არა მიშავს, არა მიშავს. ნუ ნერვიულობ, ძვირფასო.

მიშელი: რა? როგორ მიმართე?

პიერი: რა თქვი?

მიშელი: ჩემს ცოლს... როგორ მიმართე?

პიერი: მე?

პაველი ბრუნდება. ორივე ხელში წყლის სათლი უჭირავს, რომელსაც სებასტიანს აჩეჩებს.

პაველი: გამომართვით... უნდა ვიმოქმედოთ...

სებასტიანი: მე შენი მონა არ ვარ.

პაველი: ბოდიში.

სებასტიანი (*პაველზე ამბობს*)**:** ეს ვინ არის?

პაველი: კი, მაგრამ, რაღაც უნდა გაკეთდეს! ასე მთლიანად ჩამოიშლება.

სებასტიანი: რაზე ამბობ?

პაველი: ჩემი საძინებელის ჭერი მთლიანად ჩამოინგრევა!

პაველი ტირილს იწყებს.

მიშელი: არ არსებობს! თქვენ მართლა შეპყრობილი ხართ ამ თქვენი პატარა პრობლემებით!

პიერი: ეს მართალია, კი. უკვე რამდენი ხანია, თქვენი მოსმენის გარდა არაფერს ვაკეთებთ.

პაველი: მაგრამ...

მიშელი: რა, მაგრამ? სხვებსაც აქვთ პრობლემები, პაველ. ამიტომ, შეწყვიტეთ ეს გაუთავებელი მოთქმა. თითქოს თქვენ გარდა ამქვეყნად აღარავინ არსებობს! ეს უკვე დამღლელი ხდება.

პაველი: მაგრამ ჩემი საძინებელი... ახლა სად დავიძინო? რა უნდა ვქნა?

პიერი: ისევ დაიწყო! და „რა უნდა ვქნა?“ და „სად უნდა დავიძინო?“ ჩვენ აქ ვსაუბრობთ. მისთვის ახლა ისეთი რამის თქმას ვაპირებ, რაც აქამდე ვერასდროს გავბედე.

მიშელი: რა?

პიერი: ამიტომ, ძალიან გთხოვთ.

პაველი: დიახ, ბოდიში.

პიერი: გმადლობთ. (*პიერი მიშელისკენ ბრუნდება*). მიშელ...

ნატალი: გაჩერდი, პიერ.

პიერი: ჯობია, რომ იცოდეს.

მიშელი: რა?

ხანმოკლე პაუზა.

პიერი: მე მიყვარს ნატალი.

ამ დროს ისეთი ხმა ისმის, საფიქრებელია, რომ პაველის საძინებელში ჭერი ჩაინგრა.

პაველი: ჩემი ოთახი...

მიშელი: შეგიძლია, გაიმეორო?

პიერი: მე მიყვარს ნატალი. ყოველთვის მიყვარდა.

მიშელი: მე მეგონა, რომ ეს ძველი ამბავი იყო.

პიერი: ჩემთვის არა.

მიშელი: რას ნიშნავს ეს ყველაფერი? ნატალი... (*ტელეფონი რეკავს*). ნატალი...

ნატალი: რეკავენ.

მიშელი: მიპასუხე. რას ნიშნავს ეს ყველაფერი? თქვენი ამბავი ისევ გრძელდება?

სებასტიანი ტელეფონთან მიდის.

ნატალი: გეყოფა, მიშელ.

სებასტიანი: ჰო. ვინ არის? ელზა. სალამი. OK, დაგალაპარაკებ. დედა, ელზა გირეკავს. შენთან უნდა ლაპარაკი.

მიშელი: რა?

სებასტიანი: თან სლუკუნებს, იცოდე.

მიშელი: არა!

ნატალი: რა, არა?

მიშელი: ამ ზარზე პასუხს გიკრძალავ.

ნატალი: ბოდიში?

მიშელი: გიკრძალავ.

ნატალი: ტირის, ვერ გაიგე?

მიშელი: თავის დაძვრენას ნუ ცდილობ, ნატალი. ამ სიტუაციიდან თავის დაძვრენას ნუ ცდილობ.

ნატალი: რაზე ლაპარაკობ?

მიშელი: კითხვა დაგისვი, პიერთან დაკავშირებით.

ნატალი: შენი აზრით? მგონი, კარგად მიცნობ.

მიშელი: კიდევ გრძელდება ეს ისტორია პიერთან?

ნატალი: შენ ფიქრობ, რომ შემიძლია ასე... ეს ერთხელ შემემთხვა, 29 წლის წინ. სულ ეს არის!

მიშელი: მას შემდეგ?

ნატალი: მას შემდეგ არაფერი ყოფილა. ეს უკვე გითხარი.

მიშელი: აბა, „ძვირფასოს“ რატომ გეძახის?

ნატალი: უკვე ნერვებს მიშლი.

ნატალი ყურმილის აღებას აპირებს. მიშელი წინ გადაუდგება.

მიშელი: არა!

ნატალი: რა?

მიშელი: ვფიქრობ, რომ სულ მცირე, ახსნა-განმარტების მიღების უფლება მაინც მაქვს...

ნატალი: მხოლოდ ერთი წუთი მჭირდება. ის ტირის.

მიშელი: მეც, მეც ვტირი.

ნატალი: შენ არ ტირი.

მიშელი: როგორ არა... ბოლოს და ბოლოს, ჯანდაბა! წარმოიდგინე... ჩემი ვაჟი ჩემი ვაჟი არ არის, ჩემი ცოლი მატყუებს, ჩემი საუკეთესო მეგობარი მღალატობს...

ნატალი: შეწყვიტე ეს კომედია.

მიშელი: აბა, შემომხედე, ვტირი...

ნატალი: ისე მეშინოდა, შენთვის ტკივილი არ მომეყენებინა... მაგრამ შენ ზედმეტად ეგოისტი ხარ იმისთვის, რომ რამემ ტკივილი მოგაყენოს.

ნატალი ისევ ტელეფონთან მიდის.

მიშელი: არა!

ნატალი: მიშელ...

მიშელი: რაც გინდა, ის ქენი. მით უარესი. მიდი. მიდი... მე დავიღალე. დავიღალე მთელი ამ თქვენი ისტორიებით...

ის დივანზე დასაჯდომად მიდის.

ნატალი: ალო? კი, ბოდიში... კი, მაგრამ, რა გჭირს? არა, გისმენ. არა-მეთქი, გისმენ. დამშვიდდი. მითხარი. როგორ?

პაუზა. პაველიც დივანზე ჯდება, მიშელის გვერდით. თან, ისევ ტირის.

პაველი: გაიგონეთ? მგონი ჩემი საძინებელი ჩამოინგრა.

მიშელი: თქვენ ისევ აქ ხართ?

პაველი: არ ვიცი, სად წავიდე.

ნატალი (*ცივად*)**:** რა? მართლა? მაგრამ... რამდენი ხანია?

ნატალი მიშელს შეხედავს. პიერი სებასტიანს უახლოვდება.

პიერი: ყველაფერი რიგზეა? რამე ხომ არ გჭირდება? (*სებასტიანი არ პასუხობს*). შენთვის თუ რამის გაკეთება შემეძლება, იცოდე, რომ ყოველთვის მზად ვარ...

სებასტიანი: მოკეტე.

ნატალი: არა, ახლა არ შემიძლია. გეუბნები, არ შემიძლია-მეთქი. გეყოფა, ელზა. ელზა... მოგვიანებით დავილაპარაკოთ. უნდა გავთიშო. კი, კი. (*ყურმილს კიდებს. ის გაცოფებულია. პაუზა*). მიშელ...

მიშელი: გისმენ, ჩემო სიყვარულო.

ნატალი: ეს სიმართლეა?

მიშელი: რაზე ამბობ?

ნატალი: შენი აზრით? ეს-ესაა, ელზას ველაპარაკე. სიმართლეა? (*პაუზა*). კითხვა დაგისვი, მიშელ. (*პაუზა*). მიშელ... სიმართლეა?

პაველი: არ უპასუხებთ?

ნატალი: მიშელ...

მიშელი: ჰო, სიმართლეა! აი, ასე. ახლა ბარი-ბარში ვართ. (*ნატალი მყარი ნაბიჯით მიემართება საძინებლებისკენ*). სად მიდიხარ? (*ნატალი უპასუხოდ გადის*). კი, მაგრამ, სად მიდიხარ?

პაველი: მგონი, ტელეფონით ცუდი ამბავი გაიგო.

მიშელი: პაველ.

პაველი: არა, მართლა. ძალიან განერვიულებული ჩანს.

მიშელი: იქნებ შეწყვიტოთ სხვის საქმეში ჩარევა, თუ შეიძლება.

ნატალი მალევე ბრუნდება, ჩანთით ხელში. ის სებასტიანს სათლს გამოართმევს და მიშელის მიმართულებით ისვრის. მიშელი არც კი ინძრევა.

პაველი: არა! ეს ჭუჭყიანი წყალია.

ნატალი: პიერ, მანქანით ხარ?

პიერი: კი.

ნატალი: წამიყვანე აქედან.

პიერი: რა? კარგი. სად მიდიხარ?

ნატალი: სასტუმროში.

პიერი: პატარაც მიგვყვავს?

სებასტიანი: იცი, ახლა, ეგ პატარა რას გეტყვის?

ნატალი: ძალიან გთხოვ. წავიდეთ.

პიერი: კარგი. აბა, დროებით. ვიმედოვნებ, რომ ასეთ არასასიამოვნო ეტაპზე არ გავჩერდებით... მე... ჰო... იმისთვის... ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს ერთმანეთისთვის სათქმელი.

ნატალი: წამოდი.

პიერი: კი. მოკლედ, მიშელ...

პაველი: ისინი ერთად მიდიან. (*ნატალი და პიერი გადიან*). ის წავიდა.

მიშელი: არ შეგიძლიათ, რომ ცოტა ხანს პირი დამუწოთ?

პაველი: ვინ? მე?

მიშელი: კი, თქვენ. ყველა მოქმედებაზე კომენტარს აკეთებთ.

პაველი: აჰ, მართლა? ბოდიში. არ შემიმჩნევია.

სებატიანი: ასე რატომ წავიდა?

მიშელი: ვინ?

სებასტიანი: დედა.

მიშელი: ეს რთული საკითხია.

სებასტიანი: რთული?

მიშელი: ჰო. უფრო სწორად, *კომპლექსური.*

სებასტიანი: მე კი ვერაფერი გავიგე. პიერმა ცოლს უღალატა. ასეა?

მიშელი (*პაველს*)**:** ვერაფერი გაიგო.

პაველი: აი, შეხედეთ, ახლა თქვენ აკეთებთ კომენტარებს.

მიშელი: ჰო, მაგრამ მე ჩემს სახლში ვარ! იმას გავაკეთებ, რაც მინდა. ასე არ არის?

პაველი: ეს საყვედური არ იყო. უბრალოდ, დაკვირვების შედეგი აღვნიშნე.

მიშელი: სებას... „Fucking Rat"... მიხვდი, დედაშენმა რაც გითხრა?

სებასტიანი: რაზე?

მიშელი: მამაშენზე. (*პაუზა. იგრძნობა, რომ ვერ მიხვდა*). არა, ახლა მართლა ყველაფერი გასაგებია. იყო აქამდე რაღაც, რასაც ახსნა არ ჰქონდა.

სებასტიანი: რაზე ლაპარაკობ?

მიშელი: გენეტიკაზე. გენეტიკის გჯერა? უნდა გჯეროდეს. ის ბევრ რამეს ხსნის. (*პაუზა*). კარგი. კიდევ დიდხანს აპირებ აქ დარჩენას? მეგონა, რომ რაღაც საქმეები გქონდა მოსაგვარებელი, არა? მნიშვნელოვანი საქმეები. ახლა, ალბათ, წასვლის დროა, ხომ?

სებასტიანი: ასე რატომ მელაპარაკები?

მიშელი: ისე, უბრალოდ. აბა, კარგად. (*სებასტიანი კარისკენ მიდის*). რაც შეეხება... არა, იმის თქმა მინდოდა... ის მუსიკა, რასაც შენს ჯგუფთან ერთად ქმნი...

სებასტიანი: ჰო. გისმენ.

მიშელი: სრული არარაობაა.

სებასტიანი: რა?

მიშელი: ტამპონები უნდა იყიდოთ ყურებისთვის, ბიჭებო... და პასაჟიდან პასაჟზე გადასვლისას ცოტა მგრძნობელობაა საჭირო. ნიჭის ნაკლებობა ჩანს.

სებასტიანი: ამას რატომ მეუბნები?

მიშელი: იმიტომ, რომ დროა, თვალები ფართოდ გააღო. უფრო სწორად, ყურები. რასაც თქვენ აკეთებთ, ნაგავია, თავიდან ბოლომდე.

სებასტიანი: შენ მითხარი, რომ მოგწონდა. შეტყობინებაც დამიტოვე, სადაც ამბობდი, რომ ენერგია იგრძნობოდა...

მიშელი: ჰო, მაგრამ აზრი შევიცვალე. სრული არარაობაა. და „Fucking Rat", მართლაც რომ სულელური სახელია. ასე არ არის?

პაველი: კი, ასეა.

მიშელი: ხალხი არ დაგცინის? არა, სერიოზულად! „Fucking Rat", შეუძლებელია! არ არსებობს! უბრალოდ, გროტესკულია... ჰა, ჰა, ჰა!.. დროა, რომ გაიზარდო... (*პაველიც მასთან ერთად იცინის. სებასტიანი გაუნძრევლად დგას. ჯერ მერყეობს და შემდეგ უცებ ტირილს იწყებს*). რა იყო? ისეთი რა ვთქვი?

პაველი: ჯანდაბა, ტირის.

მიშელი: ო, არა! ოღონდ შენც არ დაიწყო! რას აკეთებ? რას აკეთებს ეს შტერი?

სებასტიანი: შენ არასდროს გყვარებივარ...

მიშელი: რა თქვი?

ის სულ უფრო ძლიერად ტირის. მასში ბავშვის გულისტკივილი იგრძნობა.

სებასტიანი: პატარაობიდან მოყოლებული, ყოველთვის ასე იყო...

მიშელი: რაზე ამბობ?

სებასტიანი: შენთვის ყოველთვის უხილავი ვიყავი.

მიშელი: ასე არ არის. ზუსტად გეუბნები, რომ უხილავი არ ხარ.

სებასტიანი: როგორ არა! ვერასდროს მამჩნევდი... მე მუდმივად ვცდილობდი შენი ყურადღების მიქცევას, მაგრამ არასდროს გაინტერესებდი... და აღარ ვიცი, რა გავაკეთო! აღარ ვიცი, რა უნდა გავაკეთო, რომ გიყვარდე. მამა...

მიშელი: კი, მაგრამ, ვერ გაიგე, დედაშენმა რა გითხრა? გაიგე?

სებასტიანი ისევ ტირის.

პაველი: ვფიქრობ, ახლა უნდა ანუგეშოთ.

მიშელი: ასე გგონიათ?

პაველი: დიახ.

სებასტიანი: სიკვდილი მინდა.

მიშელი დგება და სებასტიანს გულში იხუტებს.

მიშელი: კარგი... გეყოფა.. გესმის? საკმარისია. გეყოფა, სებას... ჩემო ძვირ... ჩემო პატა... ჩემო პატარა ღამურა. გაიგე? ყველაფერი კარგადაა, ჩემო *ღამურიკო.*

სებასტიანი: იმიტომ, რომ, ჰო, მართალი ხარ, გულის სიღრმეში მგრძნობიარე ვარ...

მიშელი: აბა, რა, აბა, რა... გულის სიღრმეში. კარგი. ახლა უნდა დამშვიდდე, გაიგე? დიდი ბიჭი ხარ.

სებასტიანი: ჰო. ბოდიში.

მიშელი: ესეც ასე. ეს უკვე ჩავლილი ამბავია.

სებასტიანი: ბოდიში. არ ვიცი, რა დამემართა.

მიშელი: ასეთი რამ ყველას მოსვლია, ნუ ღელავ. გრძნობების მოჭარბება. არაფერია.

სებასტიანი: ჰო.

მიშელი: კარგი, კარგი.

პაველი: საბოლოოდ, ყველაფერი კარგად მთავრდება.

მიშელი: პაველ.

პაველი: დიახ, ბოდიში.

სებასტიანი: მე წავალ.

მიშელი: ჰო, ვფიქრობ, ეს ყველაზე კარგია, რისი გაკეთებაც შეგიძლია.

სებასტიანი: ჰო. ვწუხვარ. მე... მოკლედ... კარგი. დედას უთხარი, რომ სადილად ვერ დავრჩებოდი. ბევრი საქმეა. დღეს რეპეტიცია მაქვს, Fuckers-ებთან ერთად.

მიშელი: ვეტყვი.

სებასტიანი: OK. კარგად.

მიშელი: კარგად.

სებასტიანი წასასვლელად ემზადება.

სებასტიანი: მამა.

მიშელი: რა?

სებასტიანი: მიყვარხარ, იცოდე.

მიშელი უღიმის და ჟესტიკულაციით პასუხობს. სებასტიანი გადის. პაუზა.

პაველი: ძალიან საყვარელი ბავშვია.

მიშელი: ასე ფიქრობთ?

პაველი: არა, მთლად ასეც არა. (*პაუზა*). კარგი. ახლა რას ვაკეთებთ?

მიშელი: ზუსტად იმას, რაც დაგეგმილი იყო.

პაველი: ანუ?

მიშელი: ანუ თქვენ თქვენს ბინაში დაბრუნდებით და მე მშვიდად ყოფნის საშუალებას მომცემთ.

პაველი: ძალიან კარგი.

მიშელი: რაც შეეხება... როგორ ვთქვათ? წყლის მსუბუქი გამოჟონვა... ჩვენში მოვაგვარებთ...

პაველი: კი ბატონო.

მიშელი: შეკეთების პროცესშიც თუ შემიძლია, რამით დაგეხმაროთ...

პაველი: სასიამოვნოა თქვენი მხრიდან.

მიშელი: არა, ეს ნორმალურია. ესეც ასე.

პაუზა.

პაველი: ჭიქა ვისკი ახსენეთ წეღან...

მიშელი: დიახ. მაგრამ, მგონი თქვენ სახლში წასვლას აპირებდით.

პაველი: სულ ცოტაც არა?

მიშელი: არა, ცოტაც ვერა.

პაველი: მოგიხდებოდათ.

მიშელი: არა, გმადლობთ.

პაველი: კარგი. მოკლედ, მე დაგტოვებთ.

მიშელი: დიახ.

პაველი: წავედი.

მიშელი: კი ბატონო.

პაველი: აბა... სასიამოვნო შაბათს გისურვებთ.

მიშელი: გმადლობთ. თქვენც ასევე. (*პაველი გადის. მიშელი ამოისუნთქავს. შემდეგ დგება*). აჰ!.. (*პაუზა. გარშემო მიმოიხედავს. იქაურობა ბრძოლის ველს ჰგავს. მოულოდნელად, ტელეფონი რეკავს. ჯერ ყოყმანობს, შემდეგ კი საპასუხოდ მიდის*). ალო? აჰ! დედა... არა, ახლა ვერ დაგელაპარაკები... (*მშვიდად*). იმიტომ. იმიტომ, რომ ისეთ რაღაცას მინდა მოვუსმინო, რაც ჩემთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. როგორ არა, მნიშვნელოვანია. ჩემთვის მნიშვნელოვანია. ასეა. ჯერჯერობით აღარ მეცლება. მეც. გკოცნი. (*ყურმილს კიდებს. გაოცებულია, ასე მარტივად რომ შეძლო დედამისისგან თავის დაღწევა. ის ფირფიტის ჩასადებს იღებს. სახეზე ღიმილი უბრუნდება და თავის სავარძელზე კარგად თავსდება. ყველაფერს ამოწმებს, რომ, ბოლოს და ბოლოს, დისკის მოსმენა შეძლოს. და, აი, "play" ღილაკს აჭერს*). *Me, Myself and I...*

მიშელი თვალებს ხუჭავს, სიამოვნების სრულად განცდისთვის. მუსიკა ირთვება. იგრძნობა, რომ ამ ნახევრად მინგრეულ-მონგრეული ოთახის შუაგულში მჯდარი მიშელი მომენტით ტკბება. ის იღიმის. პაუზა. განათება თანდათან იკლებს. უცებ, აპარატურიდან უცნაური ხმა ისმის: ფირფიტა დაზიანებულია.

სიბნელე.

დასასრული